პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 241 პარასკევი, 20 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 241

დღიური

— ბერლინში მოხდა შეტაკება კომუ[illegible]რქისტებს შორის. მთავრობა სასტიკად სდევნის მუშ[illegible]ალ დემოკრატები გაურბიან აქტიურ მოქმედებას.

— ბერძნებისაგან დაცლილ ფრაკიაში ანგორის მთავრობამ თავისი გუბერნატორი დანიშნა.

— შორეულ აღმოსავლეთის საზავო კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენლად იქნება ფრანკლინ ბიუიონი.

დღეს, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, რუსთ. თეატრის შენობაში, ერთიანი პარტიული დღის ნაცვლად

გაიმართება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრთა

საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგში: ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობის შესახებ.

„ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო“

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი სცემს ზემოთ ხსენებულ სათაურით კრებულს რომელშიც გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა როგორც ჩვენში,—საქართველოს სინამდვილით, ისე მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე მოთავსებული იქნება მოგონებები და მოთხრობები ოქტომბრის რევოლიუციის პირდაპირ მონაწილეთაგან. ამიტომ ვთხოვთ რევოლიუციის აქტიურ მონაწილე ამხანაგებს წარმოადგინონ თავიანთი მოგონება—მოთხრობები არა უგვიანეს ამ თვის 20 რიცხვისა.

მისამართი: ს. კ. პ. ცენტრალ. კომიტეტის აგიტ-პროპი ს. თალაკვაძესთან.

პერსპექტივები ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთში, როგორც ვიცით, შეწყდა ზარბაზნების გრიალი და დროებითი ზავი ჩამოვარდა. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით ვინ გაიმარჯვა ან რანაირი პერსპექტივები მოსჩანს. სამი მთავარი ძალა შეეჯახა ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთში: „მოკავშირენი“—ინგლისი და საფრანგეთი და ანგორა.

ოსმალეთის დამარცხების შემდეგ სტამბოლის და სრუტეების სრული ბატონ პატრონი უმთავრესად იყო ინგლისი. ეს პუნქტები მას ესაჭიროება როგორც მომავალში რუსეთის წინააღმდეგ შესაძლებელ ომის შემთხვევაში, რათა ჩაკეტოს საბჭოთა რესპუბლიკა და შავიზღვის ნაპირებს თავისი დრედნოუტებიდან დაუშინოს, ისე ახლო აღმოსავლეთში ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. კერძოდ უნდა აღინიშნოს ინგლისის დაინტერესება მესოპოტამიაში, სახელდობრ მოსულის რაიონში არსებულ ნავთის წყაროებით. ნავთი დღეს უპირველეს როლს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკაში. ვის მფლობელობაში და სარგებლობაში არის ნავთის მეტი წყაროები, ისაა მსოფლიოს ეკონომიური დ პოლიტიკური ჰეგემონი დ მბრძანებელიც. ხოლო ინგლისი მესოპოტამიაში, რომლის მანდატი მას აქვს გადაცემული, ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მას არ შერჩა სტამბოლი და სრუტეები, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსმალეთს ყოველთვის შეეძლება მესაპოტომიიდან ნავთის ტრანსპორტი შეუწყვიტოს ინგლისს და ამით გადაჭრას მისი სასიცოცხლო არტერია. ამიტომაცაა, რომ ინგლისი ასე თავგამოდებით ებღაუჭება სტამბოლს და სრუტეებს. თუ ეს პუნქტები მას გამოაცალეს ხელიდან, ამით ინგლისის, როგორც უდიდესი სახელმწიფოს, წონა საგრძნობლად დაეცემა, მისი საერთაშორისო პოლიტიკური პრესტიჟი და ეკონომიური სიმძლავრე შეირყევა.

მეორე მხრივ, საფრანგეთიც ცდილობს დაიპატრონოს მესოპოტამიის სანავთო წყაროებს. 1920 წელს საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაიდვა ხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს ნავთის საკითხს ამ ორ სახელმწიფოს შორის. ეს ხელშეკრულება ფრიად არა ხელსაყრელია საფრანგეთისათვის. მის თანახმად, საფრანგეთს აქვს უფლება შეიძინოს საბაზრო ფასებში მხოლოდ 25 პროც. მოსულის ნავთისა, რომელსაც ამოიღებს ინგლისი. თვით საფრანგეთი მესოპოტამიაში არავითარ საკუთარ ნავთის წარმოებას არ უნდა ეწეოდეს. ასეთი საზარალო ხელშეკრულებას საფრანგეთმა მოაწერა ხელი მთელი რიგ მისთვის არა ხელსაყრელ პირობების ზეგავლენით; მათგან ერთი მთავარი იყო სარეპარაციო საკითხი. აქ ინგლისმა დაუთმო საფრანგეთს, მესოპოტამიაში მისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების ხარჯზე.

საფრანგეთის ამოცანას შეადგენს ამ ჟამად, შეცვლილი რეალური ძალთა განწყობილება ახლო აღმოსავლეთში გამოიყენოს ხსენებულ ხელშეკრულების გასაბათილებლად, თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად, კერძოდ მესოპოტამიაში; და თუ მოსულის ნავთის წყაროებს მთლად ვერ ჩაიგდებს ხელში, ინგლისთან თანასწორი უპირატესობანი მაინც მოიპოვოს. სხვათაშორის, ამ მიზნით ეხმარება იგი ანგორას.

თვით ანგორა, რა თქმა უნდა, იბრძვის არა საფრანგეთის ინტერესებისათვის. მას მოსულის რაიონი მიაჩნია ოსმალეთის უდავო ტერიტორიად და უნდა მისი შემოერთება, მხოლოდ, რათა საფრანგეთი მიიმხროს ამ საქმეში ინგლისის წინააღმდეგ, მზად არის სანავთო კონცესიები მესოპოტამიაში მისცეს საფრანგეთს. სხვათა შორის, ამ საკითხის შესახებ ანგორასთან შეთანხმების მიღწევას ისახავდა მიზნათ ფრანკლენ ბუილონის მისია.

მესოპოტამიის ნავთით დაინტერესებულია აგრეთვე შორეული ამერიკა, რომელიც თავის „წილს“ თხოულობს და ცოცხალ დაინტერესებას იჩენს ახლო აღმოსავლეთის ამბებისადმი.

ფრიად დახლართულია აქ სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესები.

თუ როგორ მოხერხდება ამ ინტერესთა შერიგება და ვინ გამოვა უფრო გამარჯვებული ამ დახლართულ მდგომარეობიდან, ჯერ-ჯერობით ამის თქმა ძნელია.

ინგლისის პრესის უმეტესი ნაწილი აღნიშნავს ლოიდ-ჯორჯის დამარცხებას ახლო-აღმოსავლეთის საკითხში. მართალია, საბერძნეთის განადგურება არსებითად ინგლისის დამარცხებაა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ინგლისს არ დაუთმია არც ერთი მთავარი პოზიცია ახლო-აღმოსავლეთში. სტამბოლი და სრუტეები ისევ მის ხელშია. ომის შეჩერება ანგორის მხრივ იმ დროს, როცა ინგლისს საკმაო სამხედ. ძალები არ გააჩნდა და შესაძლებელი იყო სრუტეების საკითხის რადიკალურად დაყენება, მოწმობს, რომ ანგორა იძულებული შეიქნა ერთგვარ დათმობაზე წასულიყო. ამასობაში დრო გადის, და ინგლისს საშუალება ეძლევა სამხედრო ძალას მოუყაროს თავი და განამტკიცოს თავისი პოზიცია იმ მომენტისათვის, როცა შესდგება სამშვიდობო კონფერენცია. თვით ამ კონფერენციის შესახებ უნდა ითქვას, რომ ანგორისათვის სრულიად არ არის ხელსაყრელი ამ კონფერენციის საგნად გახდეს მარტო საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი, ხოლო სრუტეების საკითხი გაირჩეს სხვა კონფერენციაზე, რომელიც ვინ იცის როდის იქნება მოწვეული. ინგლისს კი სწორედ ასეთი პოზიცია უკავია.

ამ ხნის განმავლობაში მას იმედი აქვს „მოკავშირეთა“ და ამერიკის ინტერესების შეთანხმების, ოსმალეთის დ სხვა დაჩაგრულ ხალხების ხარჯზე, რასაკვირველია.

ეხლა ბევრს ლაპარაკობენ ლოიდ-ჯორჯის სიტყვაზე, რომელიც მან წარმოსთქვა მანჩესტერში. ეს სიტყვა მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ ეს არის ინგლის-საფრანგეთის კავშირის დაშლის მაჩვენებელი.

ჩვენ კი გვგონია, რომ ინგლისის პრემიერის სიტყვა ერთგვარი დიპლომატიური ხერხია საფრანგეთის „ჭკუაზე მოსაყვანად“. ამ მხრივ საგულისხმოა გაზ. „სტოკგოლმს დაგბლადეტ“-ის აზრი. გაზეთს ლოიდ-ჯორჯის სიტყვიდან ის დასკვნა გამოყავს, რომ „კაცობრიობას ეხლა უფრო მეტი უფლება აქვს მოითხოვოს ვერსალის სამარცხვინო ხელშეკრულების გადასინჯვა“. ლოიდ-ჯორჯის მიზანია რეპარაციის საკითხში დაემუქროს საფრანგეთს, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა, და აიძულოს იგი კომპრომისზე. ბოლოს და ბოლოს მოსალოდნელია, რომ მსოფლიო მტაცებლები—ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მთავრობები ერთხელ კიდევ შეძლებენ „ნადავლის“ „მშვიდობიანად გაყოფას“, „გავლენის სფეროთა“ საკითხში შეთანხმებას.

ანგორა, მთელი დაჩაგრული აღმოსავლეთი და საბჭოთა ფედერაცია ფრთხილად უნდა ადევნებდნენ თვალყურს ამ ავაზაკების ფარულ კომბინაციებს და არ მისცენ მათ საშუალება თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების ფეხ ქვეშ გათელვისათვის.

ჩვენი პრესა

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ ბეჭვდითი ნაწარმოებს და კერძოთ კი პრესას ჩვენთვის მოწინააღმდეგეთა გავლენის მოსასპობათ ჩამორჩენილ მშრომელ მასებზე. ის დაუფასებელი იდეიური იარაღია მუშათა კლასის წინსვლისათვის და ჩამორჩენილ მასებში ყოველგვარ ცრუმორწმუნეობათა და წვრილბურჟუაზიულ რეაქციონური სულისკვეთებათა აღმოსაფხვრელათ.

ამიტომაცაა, რომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ყოველი პოლიტიკური ჯგუფი ცდილობს მასზე სავსებით დაპატრონებას და თავის მონოპოლიათ გამოცხადებას.

როდესაც რუსეთში სახელმწიფოს სათავეში მოექცა რევოლიუციონური მუშათა კლასი, პირველათ ყოვლისა დაიპატრონა სწორეთ ამ იარაღს და მიმართა ის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ვინაიდან მას მშვენივრათ ქონდა შეგნებული, თუ რა უბადლო საშვალებაა ის ფართო მშრომელ მასებზე თავისი გავლენას გაფართოვებისა და განმტკიცებისათვის.

სამწუხაროთ ჩვენში, საქართველოში, სადაც თითქმის ყველა მცხოვრებლები პოლიტიკურათ გადაჯგუფებული არიან და საზოგადოთ, ასე ვთქვათ, საქართველოს მთელი ტერიტორია მოხნულია პოლიტიკურათ, პრესის ეს მნიშვნელობა ვერ არის დაფასებული, განსაკუთრებით ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ და არ აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება.

ჩვენი პრესა აქ, სადაც საკმაო პოლიტიკური პარტიები არსებობენ და თითქმის მთელი ხალხი განაწილებული ყავთ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რათა მან შესძლოს ჭეშმარიტი კომუნისტური დარაჯი იყოს საქართველოს მუშათა კლასისათვის და ღირსეულათ იცავდეს მას კონტრ-რევოლიუციონერთა იდეიურ თავდასხმისაგან.

ამისათვის კი საჭიროა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მას, როგორც იდეიური, ისე მატერიალური. მასთან მისი გავრცელების საქმე საუცხოვოდ უნდა იყოს დაყენებული. ჩვენი კომუნისტური გაზეთი უნდა სწვდებოდეს საქართველოს ყოველ კუთხეს, რარიგ ჩამორჩენილიც არ უნდა იყოს ის.

მაგრამ არის კი უზრუნველყოფილი ჩვენი გაზეთი ამ მხრივ? არა, არ არის.

იდეიურის მხრივ ის ვერ დგას თავის სიმაღლეზე და ეს დიდი ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნეს აუცილებლათ. ჩვენი ამხანაგები, რომლებიც სათავეში უდგანან ჩვენს სამეურნეო დაწესებულებებს, დავალდებული უნდა იყვნენ გააშუქონ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ყველა ის კითხვები, რომლებიც საჭირბოროტოა დღევანდელი ჩვენი სამეურნეო ცხოვრებისათვის და მისი წარმატებითი განვითარებისათვის. საკმარია შევადაროთ ჩვენი გაზეთი მოსკოვის გაზეთებს: „პრავდას“, „ეკონომიჩესკაია ჟიზნს“ და ეს ყველასათვის ცხადი და გასაგები გახდება.

ამას გარდა, მას პოლიტიკურ ტონს უნდა აძლევდნენ ჩვენი ძველი გამოცდილი ლიტერატორები და პუბლიცისტებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უბრალო ინფორმაციულ ფურცლათ გადაიქცევა და თავის პირდაპირ მოვალეობას ვერ შეასრულებს სათანადოთ. მასთან ერთად არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ ის არის არა მარტო საბჭოთა ორგანო, არამედ წმინდა პარტიულიც, მაშასადამე სავსებით უნდა იყოს დაცული მასში წმინდა რევოლიუციონურ-კომუნისტური ხაზი.

ყველაფერი ეს კი შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, თუ როგორც ზევით ვამბობდით მასზე მიკრული იქნებიან და დრო გამოშვებით თანამშრომლებენ ჩვენი გამოცდილი ძველი პარტიული ამხანაგები.

მეორე მხრით, ჩვენი გაზეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მატერიალურის მხრივაც, ვინაიდან მას პირველზე ნაკლები მნიშვნელობა არ აქვს. თუ გაზეთი მატერიალურის მხრივ დიდ სიღარიბეს განიცდის, მაშინ ის იდეურათაც ჩამორჩენილი იქნება, ვინაიდან მის მუდმივ თანამშრომლებს, რომლებიც უმთავრესად მიკრული არიან გაზეთზე და საცხოვრებელ სახსარსაც იქიდან ღებულობენ, თუ შეძლება არ ექნებათ გულმოდგინეთ იმუშაონ გაზეთში, პირველად ყოვლისა თავის დაღს დაასვამს მის იდეიურ შინაარსს.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ახალმა კურსმა თავის გავლენა მოახდინა პრესაზეც და ის გადაყვანილ იქნა სამეურნეო ანგარიშზე. პრესა წარმოადგინეს ისეთ ერთგვარ საწარმოვო დაწესებულებას, რომელმაც უნდა დაფაროს ხარჯები თავისივე საშვალებით. ეს მეტის მეტად შემცდარი აზრია. ჩვენი გაზეთი, კომუნისტური, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა აგიტაცია-პროპაგანდა ფართო მშრომელ მასებში, სხვადასხვა გვარ მოვლენებისა და კითხვების გარჩევა ნაყოფიერ კომუნისტურ აღმშენებლობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა იდეიური დასაბუთება და განმტკიცება ფართო მასებში, ასეთი გაზეთი ვერას დროს ვერ გახდება ისეთ სამრეწველო დაწესებულებათ, რომელიც თვითონვე იკმაყოფილებდეს თავის ყველა მოთხოვნილებებს. ჩვენ ძვალ რბილში უნდა გვქონდეს გამჯდარი ის აზრი, რომ ჩვენი პრესა აგიტაცია-განათლების ორგანოა და მისი ხარჯების დასაფარავათ საჭიროა პერიოდულათ იწერდენ ჩვენი ცენტრალური დაწესებულებები განსაზღვრულ თანხას რათა გაზეთი დადგეს თავის სიმაღლეზე.

მართალია ბურჟუაზიული პრესა კაპიტალისტურ ქვეყნებში, არა თუ თვითონ ფარავს თავის ხარჯებს, არამედ მოგებასაც კი მისდევს, მაგრამ ის სულ სხვა ნიადაგზეა აგებული. ის მართლაც, რომ სამრეწველო დაწესებულებაა კაპიტალისტების, რომლებიც მოგებას ეძებენ შიგ. ჩვენთვის ის არ გამოდგება, ვინაიდან ჩვენ სულ სხვა მიზანი გვაქვს დასახული, და ჩვენი პრესაც სწორეთ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

დაბოლოს მისი გავრცელების საქმეც სათანადოთ უნდა იყოს მოწყობილი. გავრცელების აპარატი საუცხოვოთ უნდა იყოს დაყენებული. აქ კი დიდი უნარი მართებთ ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს. მათ ისე უნდა დააყენონ საქმე, რომ ჩვენი კომუნისტური გაზეთი იკითხებოდეს ყოველ სახელოსნოში, ყოველ ქარხანაში, რათა თითოეულ მუშასა და გლეხს შეძლება ქონდეს იცოდეს თუ რა ხდება მთელ ქვეყნიერობაზე, რა ესაჭიროება საბჭოთა ხელისუფლებას და რაა საჭირო მისთვის შექმნილი მდგომარეობის გასაგებათ და შესასწავლათ.

თუ ყველაფერი ეს მოვაწყვეთ, ხოლო რომ უნდა მოვაწყოთ, ეს ცხადია ყველასათვის, მაშინ პრესის მთავარი ამოცანა და მიზანი ადვილათ მისაღწევი იქნება და ჩვენს ჩამორჩენილ პროვინციებშიც არავითარ პროვოკაციულ ხმებსა და გაუგებრობებს ადგილი აღარ ექნება. შედეგათ ამისა კი ეს იქნება, რომ ცენტრსა და პროვინციასაც ერთი გულის ცემა ექნებათ.

მაშ მივმართოთ მთელი ჩვენი ძალღონე აქეთკენ!

ხ. ა—ძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მუშათა მოძრაობა შეერთებულ შტატებში

650,000 მემადაროეთა გაფიცვა გათავდა. შეთანხმებით, შესვენებით მომავალ გაზაფხულამდე. გაფიცულებმა გაიმარჯვეს, რადგანაც მწარმოებლები იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ სამუშაო ქირის შემცირების პროექტზე, გაზაფხულამდე ის რჩება ძველი რაოდენობით. ამ დროისათვის მაღაროების პატრონები აპირებენ ნახშირის დიდი მარაგის დამზადებას. ჩვეულებრივ ნახშირის ამოღება ამერიკაში 40 პროც. სჭარბობს მრეწველობაში მის მოთხოვნილებას; რკინის გზელთა გაფიცვამ მეპატრონეთა ანგარიშები არია, რადგანაც ამოღებული ნახშირის ტრანსპორტი შეუძლებელი გახდა. დაბა ხერჩივში მემაღაროეთა და შტრეიკბრეხერთა შორის მოხდა შეტაკება; უკანასკნელთა დასახმარებლათ ჯარებიც იქნა გამოწვეული. კაპიტალისტური პრესა თხოულობს მემაღაროეთა სასტიკ დასჯას და შტატ ილინოისში დაინიშნა მაღალი პრემია „დამნაშავეთა“ დაჭერისათვის. მას განსაკუთრებითი ის აღელვებს, რომ ხერინში მომხდარ ამბების შემდეგ სხვა მაღაროებშიც ნახევრად შემცირდა ნახშირის ამოღება. ამ საკითხის გარშემო ორივე მხარე ემზადება ბრძოლისთვის.

რაც შეეხება რკინის გზელთა გაგრძელებულ გაფიცვას, შეერთებულ შტატებში 1 სექტემბერს გენერალურმა პროკურორმა ჩიკაგოში სასამართლოს გამოაცემია განკარგულება, რომელშიდაც ყოველგვარი მონაწილეობა ამ გაფიცვაში დანაშაულათ არის აღიარებული. მუშათა ორგანიზაციები ამ გადაწყვეტილებას ყურადღებას არ აქცევენ. 400 ათასი რკინის გზელი ორი თვეა გაფიცულია, რამაც საგრძნობლათ დიდი ზარალი მიაყენა შეერთებულ შტატების მეურნეობას, რომელიც მილიონ დოლარებით ითვლება.

ფაშისტები მუშათა მეგობრის ნიღაბში.

ამ სათაურით **უმბერტო ტერრაჩინიმ** გამოაქვეყნა წერილი, რომელშიდაც მოთხრობილია, რომ ფაშისტები თავიდანვე იყვნენ აგრარიების და მემამულეების ინტერესების დამცველნი, სასოფლო მეურნეობის მუშათა კავშირების დანგრევის შემდეგ მათ დაარსეს თავისი ფაშისტური პროფკავშირები, რომელშიაც ძალით შეყავდათ წევრები. ფერრარას და როვიგოს პროვინციებში მუშები ვერ შოულობენ სამუშაოს, თუ ფაშისტების კავშირში წევრათ არ შედიოდენ. ამნაირად მოხდა ფაშისტთა მიერ დანგრეულ პროფკავშირების გარეგნული აღდგენა, მაგრამ მათი სული და მიმართულება სხვაა, რამაც მეტად დასწია სამუშაო ხელფასი და გაზარდა უმუშევრობა.

დიდ ქალაქებში ფაშისტებმა ვერ მოახერხეს, და მხოლოდ რკინის გზების ფოსტის მუშებთა შორის მოიპოვეს მცირე გავლენა, თუმცა ამ ბოლო ხანებში მომხდარ არჩევნებში გენუის ნავთსადგურის საორგანიზაციო კომისიების არჩევნებში დამტკიცდა, რომ ეს გავლენა მხოლოდ გარეგნულია. ამ არჩევნებში არც ერთი კანდიდატი ფაშისტებისა არ იქნა გაყვანილი.

ორიგინალური ბუნტი. ქალაქ ვერაკრუკაში (მექსიკა) თითქმის ყოველ სახლზე გამოფენილი იყო წითელი ბაირაღი, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სახლში მცხოვრებნი საბინაო ქირას არ იხდიან და შეუერთდენ ბინის დამქირავებელთა რევოლიუციონურ სინდიკატს.

ეს კავშირი, როგორც გადმოგვცემს „ნიუიორკოლი“ 5 მარტიდან მოეწყო და იმ დღიდანვე ბინის დამქირავებლებმა უარი განაცხადეს ქირის გადახდაზე, რაც გამოწვეულია საბინაო საოცარი მომატებით, რომელიც 5—6 პეზოდან თვეში 45—50 მდე ავიდა. კავშირში 50,000 წევრი ითვლება. ისინი არა თუ ქირას არ იხდიან, ბინის დაცლაზეც უარს ამბობენ.

კომინტერნი

სალამი კომინტერნს ქვემო ავსტრიის კომპარტიის მე-2 ყრილობისაგან.

იმ დროს, როდესაც ავსტრიის სოციალ-დემოკრატია აჩაღებს ცილისწამების და სიძულვილის პროპაგანდას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობის და საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, ქვემო ავსტრიის მეორე საგანგებო პარტიული ყრილობა უგზავნის ძმურ სალამს მე 3 ინტერნაციონალს და წითელ პროფინტერნს. კაპიტალის შემოტევასთან სასტიკი ბრძოლის დროს ჩვენ ვსდებთ ფიცს, ვიმუშაოთ ენერგიულათ და ინტენსიურად 2 ნახ. ინტერნაციონალის სამშობლოში, პროლეტარიატის დიქტატურის იდეის გამარჯვების მოსაპოვებლად. ტყუილად ფიქრობენ მენშევიკები საქართველოს და რუსეთის შინაურ მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებით ჩამოაშორონ მასები ერთიან რევოლიუციონურ მუშაობას. ერთიანი ფრონტის იდეა ქვედა ქვეყნებიდან იკაფავს გზას ყველაფერ ამის საწინააღმდეგოდ.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, საბჭოთა უკრაინას და საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს.

კონგრესის პრეზიდიუმი: ჰანს გეიბერი, მორიც მეიერი, კარლ ჩახი.

პარტიული კვირეული ბერლინში.

ბერლინში და ბრანდენბურგის ოლქში გერმანიის კომპარტიის მიერ გატარდა 24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პარტიული კვირეული. პარტიაში ახალი წევრების ჩასაწერად და ხელისმომწერთა წრის გასაფართოვებლად. გაზ. „როტე ფანე“ სიძვირის ზრდის, სპეკულიაციის და მარკის კურსის დაცემისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კოალიციის უილაჯობის გამო, დადგა შესაფერი მომენტი შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის ორგანიზაციულად გამოყენებისათვის. ამ კვირეულის განმავლობაში ჩატარდა მთელი რიგი სააგიტაციო კრებებისა; გარდა ამისა წარმოებულ იქნა სააგიტაციო მუშაობა ცალკე მუშებს შორის. კომუნისტები დადიოდენ მუშების სახლებში და ურიგებდენ და უმარტავდენ ბროშიურას: განა ეს არის პროლეტარიატის გაერთიანება? რომელიც გამოცემული იყო სოციალ-დემოკრატების გაერთიანების გამო. ამ კვირეულს მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგი და მან ხელი შეუწყო უპარტიო მასასთან კავშირის განმტკიცებას და აგრეთვე იმ მუშებთან, კავშირის დამყარებას, რომელნიც ჯერ კიდევ მისდევენ სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ რომელთა რწმენა შეიდემანელების ძლიერებაში შეირყა და რომელნიც დღეს თუ ხვალ შეგვიერთდებიან ჩვენ.

მე-4 კონგრესის გამო.

იმ საკითხების მნიშვნელოვანების გამო, რომელიც უნდა განიხილოს კონგრესმა, პარტია სცდილობს გაგზავნოს თავისი დელეგატები ყველა მნიშვნელოვან რაიონებიდან. დელეგატების სამგზავრო ხარჯების დასაფარავად და საშვალებათა გასაძლიერებლად, ბერლინის ორგანიზაციამ გამოუშვა სპეციალურად დამზადებული მარკები ლენინის და ზინოვიევის სურათებით, რომელიც ღირს ცალი 2„ მარკა. წევრი ვალდებულია შეიძინოს ერთი მარკა მაინც.

—

გერმანიის ამბების გამო

მოსკოვი. 19 ოქტ. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს და მუშა ქალებს და გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით, გერმანიაში რეაქციის დაწყების გამო. გერმანიის ესდეკების პარტიამ დაიწყო წინასწარი ბრძოლა მუშათა ბრძოლის წინააღმდეგ და სცდილობს ჩაახრჩოს იგი სისხლის მორევში, მანამ, სანამ თვითონ ფეხზე წამოდგებოდეს. კომპარტია სურთ გაანადგურონ და მუშებს დაადგან მძიმე უღელი.

კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს პროლეტარიატს ბრძოლისაკენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ერთიანი პროლეტარული ფრონტით.

რადიო-ტელეგრამები

მდგომარეობა გერმანიაში

ბერლინში მომხდარ ამბების გამო.

მოსკოვი. 19 ოქტ. ბერლინში, მუშების ცირკში შეიკრიბნენ გერმანიის თეთრგვარდიელები და მონარქისტები: გაზ. „როტე ფანეს“ მიერ გაფრთხილებული ბერლინის მუშები მოგროვდენ ცირკთან. მოხდა შეიარაღებული შეტაკება მუშებსა და შავრაზმელებს შორის. შეტაკება გაგრძელდა 1 საათზე მეტი სამი კაცი მოკლულია ასი დაჭრილია. პოლიციამ დააპატიმრა ასი კაცი. დაპატიმრებულთა რიცხვში არიან სხვათა შორის „როტე ფანეს“ რედაქტორი, ფაბრიკა ქარხნების კომისიის ცნობილი წევრები, გერმანიის კომპარტიის გამოჩენილი თანამდებობის პირნი. კომუნისტების დაპატიმრება მეორე დღესაც გაგრძელდა. დაპატიმრებულია გაზ. „როტე ფანეს“ მთავარი რედაქტორი, კომუნისტების ლიდერი ფრანდლერი, სივერტსი და სხვები. ბურჟუაზიულმა პრესამ დიდი განგაში ასტეხა კომუნისტების წინააღმდეგ.

გინდენბურგი თავს იმართლებს კაიზერის წინაშე.

ბერლინი. გაზ. „დეილი ვახენცეიტუნგმა“ მოათავსა გინდენბურგის შემდეგი წერილი ვილგელმისადმი: „მაღალო, ძლიერო და მოწყალეო იმპერატორო, მეფევ და ხელმწიფევ, ამით ვადასტურებ, რომ მეც ვარ პასუხისმგებელი იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც ერთხმად მიიღეს 9 ნოემბერს ყველა ჩვენმა მოკავშირეებმა თქვენი საზღვარ-გარედ გამგზავრების გამო. მე უკვე მქონდა შემთხვევა მეთქვა თქვენთვის ჩემ მიერ მიღებულ პასუხისმგებლობის შესახებ თქვენ უდიდებულესობას მოელოდა საფრთხე—მეამბოხეთ სურდათ თქვენი შეპყრობა და გადაცემა შინაურ და გარეშე მცხოვრებთათვის. საჭირო იყო რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა დაგვეცვა ქვეყანა ამ განზრახვის განხორციელებისაგან. ამიტომ მე გთხოვდით თქვენ თქვენი მრჩეველების სახელით გადასახლებულიყავით ჰოლანდიაში. მე ეხლაც ვფიქრობ, რომ ჩვენ მართალი ვიყავით“.

ტახტისათვის.

ბერლინი. სააგენტოს ცნობით სამხრეთ-სლავიის მეფის უფროსმა ძმამ პრინცმა გიორგიმ უარი განაცხადა თავის ძმის ბრძანების მორჩილებაზე და გადასწყვიტა კერძო პირის სახით კარა გეორგიევიჩის გვარით აწარმოვოს ბრძოლა მეფის სახლისა და პაშიჩის მთავრობის წინააღმდეგ.

პრეზიდენტის არჩევნები.

ნაუენი. 18 ოქტ. ცენტრის პარტიამ წინადადება მისცა გერმანიის სხვა პოლიტიკურ პარტიებს გადადებულ იქნას პრეზიდენტის არჩევნები 1925 წლ. პირველ ივლისამდე.

შინაური სესხი.

კროიდონი. 19 ოქტომ. გერმანიის მთავრობამ განიხილა შინაური სესხის აღების საკითხი. ხაზინის მიერ გამოშვებული იქნება ბონები, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს ოქროს მარაგით.

პრეზიდენტი.

ბორდო. 18 ოქტ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგის სოციალისტურმა ფრაქციამ განიხილა რა პრეზიდენტის არჩევის საკითხი, გადასწყვიტა დაეყრდნოს 3 დეკემბრის დადგენილებას იმ დამატებით, რომ სხვა პარტიები დასთანხმდებიან კონსტიტუციის გადახედვაზე, ურომლისოთაც შეუძლია არჩევნების გადადება.

დემოკრატების და ცენტრის ფრაქციაც იხილავდა ამ საკითხს, მაგრამ არავითარი საბოლოვო გადაწყვეტა ამის გამო არ გამოუტანიათ.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ფრაკიის ევაკუაცია

მოსკოვი. 19 ოქტომბერი. უკვე დაიწყო ბერძნების მიერ ფრაკიის ევაკუაცია. განთავისუფლებულ ტერიტორიას იჭერენ ინგლისის ჯარები.

ბერძნები შეურაცყოფილნი არიან.

ბორდო. 19 ოქტომბერი. საბერძნეთის ელჩი პარიზში რომანოსი უარყოფს ფრანკლერ ბუიონის მტკიცებას, რომელიც გამოაქვეყნა უკანასკნელმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს, თითქოს სმირნაში ცეცხლის გამომწვევი იყვნენ ბერძნები.

რა დაუჯდა ინგლისს ახლო-აღმოსავლეთის კრიზისი

ბორდო. 19 ოქტ. ინგლისის სამხედრო მინისტრმა განაცხადა ლონდონში, რომ მთავრობის მიერ გაწეული წინასწარი ხარჯები ახლო-აღმოსავლეთის კრიზისის გამო არ აღემა-

ვანქა სტერ-

ფახი საჩუქარი.

[illegible] 19 ოქტომბ. ინდოელების დეპუტაცია გაემგზავრება ანგორაში ქემალ ფაშისათვის საპატიო ხმლის ჩასაბარებლად და ანგორის მთავრობისათვის ორი ჰაეროპლანის გადასაცემად.

საბერძნეთის რევკომის მოწოდება.

ბორდო. 19 ოქტ. საბერძნეთის რევკომმა მიმართა მოწოდებით საბერძნეთის მცხოვრებლებს, რომელშიდაც აცხადებს, რომ ის პარტიის გარეშე სდგას. ცდილობს წესრიგის დაცვას არჩევნებამდე და აგრეთვე მეგობრულ ურთიერთობის აღდგენას დიდ სახელმწიფოებთან.

მოწოდებაში ყველა ძველი კონსტანტინეს მომხრე ხელმძღვანელები მოღალატეებათ არიან გამოცხადებული, რომლებმაც გამოიწვია გათიშვა.

საზავო კონფერენციის მოწვევის გამო.

ჰანოვერი. 19 ოქტ. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის დიდი ეროვნული კრება მოითხოვს საზავო კონფერენციის სმირნაში მოწვევას.

ნაუენი. ინგლისის მთავრობას სურს წინასწარი შეთანხმების დადება ახლო აღმოსავლეთის საზავო ხელშეკრულების ეკონომიურ და ფინანსიურ მხლების შესახებ და იწვევს ლონდონში საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებს.

ჰანოვერი. 19 ოქტ. ინგლისის წინადადებაზე მიიღოს მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის წინასწარ კონფერენციაზე ლონდონში, იტალიამ უპასუხა თანხმობით. საფრანგეთმა განაცხადა თავისი პრინციპიალური თანხმობა, მაგრამ ის წინააღმდეგია ლონდონში შეკრებისა, რათა არ მიეცეს ანგორის მთავრობას უნდობლობის საბაბი. საფრანგეთი წინასწარ მოლაპარაკებისათვის ასახელებს პარიზს, რასაც არ ეთანხმება ანგორის წარმომადგენელნი. ამ კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენლად დაინიშნება, ალბად, ფრანკლენ ბუიონი. კონფერენცია ჰავასის ცნობით შესდგება მომავალ კვირაში.

ფრაკიაში.

ნაუენი. 19 ოქტ. საფრანგეთის ჯარები შევიდა ფრაკიაში ბერძნების მიერ ლიულე-ბურგასის და კირკილისის ევაკუაციის შემდეგ. კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა ფრაკიის ახალი გუბერნატორი, რომელიც დანიშნულია ანგორის მთავრობის მიერ.

კროიდონი. 19 ოქტ. კონსტანტინეპოლიდან ფრაკიაში წავიდა 3 მატარებელი მოკავშირეთა ჯარებით. დემორკაციულ ხაზში უვნებლად გაიარა მატარებელმა. ბერძნების ევაკუაცია სწარმოებს გეგმის მიხედვით.

ბოროტმოქმედება.

ბორდო. 18 ოქტ. ათინაში აღმოაჩინეს კონსტანტინეს დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩადენილი დიდი ბოროტ-მოქმედება. იმ დროს, როდესაც ხაზინაში არ იყო ფული მცირე აზიის აფიცრებისათვის და ჯარისკაცებისათვის ჯამაგირის გადასახადათ—საგარეო საქმეთა სამინისტროში ათეული მილიონები იხარჯებოდა უცხოეთში პროპაგანდის გასაწევად.

ჩიჩერინის განცხადება.

კროიდონი. 19 ოქტ. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთი მოითხოვს ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს.

სხვადასხვა ამბები

ერთა ლიგის სხდომა.

ჰანოვერი. 18 ოქტომბერი. 19 სახელმწიფომ, მათ შორის იაპონიამ, ჩინეთმა და არგენტინამ თანხმობა განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ ერთა ლიგის საბჭოს სხდომებზე, რომელიც გაიხსნება 20 ოქტომბერს ბუდაპეშტში.

გერმანია და პერუ.

ჰანოვერი. 18 ოქტომბერი. გერმანია პერუს საზოგადოებამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები პერუში ანდის დასავლეთ ნაწილებში მიწების შესაძენად. ამ მიწებზე მოეწყობა გერმანელ კათოლიკების მოსახლეობა. პირველად მოეწყობა სამი კოლონია. „ახალი ბავარია"—„ახალი სილეზია", „ახალი რეინლანდი".

დიპლომატიური კონფერენცია.

ჰანოვერი. 18 ოქტომბერი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ბერლინში ახლო მომავალში მოხდება ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში მყოფ ამერიკის ელჩების კონფერენცია. კონფერენცია მოწვეულია ამერიკის წარმომადგენლის მიერ ბერლინში. კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოდის 18 დეკემბერს დასავლეთ ევროპის საქმეებში ამერიკის მთავარი წარმომადგენელი კასტლოკ, ვარშავიდან მოელიან ამერიკის წარმომადგენელს—გიბსონს, უნგრეთიდან—ბრეტმნოს, შვეიცარიიდან—გრენს აგრეთვე ამერიკის რეინლანდიის საოკუპაციო ჯარების კომენდატს გინერალ ალლონს; კონფერენციის მიზანია—მიმდინარე და ევროპის საკითხების განხილვა.

იტალია

ფაშისტების კონგრესი

რომში. 18 ოქტომბერი. იტალიის პრესა ირწმუნება, რომ 24 ოქტომბერს იტალიაში გაიხსნება ფაშისტების კონგრესი, რომელიც იმსჯელებს ფაშისტების დამოკიდებულებაზე სხვა პარტიებთან.

კონგრესს გახსნის ფაშისტების ლიდერი მუსოლინი.

პარლამენტის სესია.

ჰანნოვერი. 18 ოქტ. იტალიის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს პარლამენტის სესია 7 ნოემბრისათვის.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

მოსკოვი. 18 ოქტ. რუსეთის ახალგაზდობის კომუნისტურ კავშირის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ მშრომელი ახალგაზდობა ყველა ძალების დაჭიმვით მზად არის იბრძოლოს გამარჯვების მისაღწევად სამეურნეო ფრონტზე. წარსულისაკენ დაბრუნებას არ დაუშვებს ახალგაზდობა.

რუსეთ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობა.

მოსკოვი. 18 ოქტ. ამერიკის მსხვილ ფირმამ მიმართა სახელმწიფო ვაჭრობას წინადადებით, რათა მოეწყოს რეგულიარული სავაჭრო კავშირი რუსეთთან.

ბანდიტიზმი.

მოსკოვი. 18 ოქტ. ბანდიტიზმის ძირიანად მოსპობის მიზნით სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტმა საგუბერნიო პოლიტიკურ მმართველობას ბოროტმოქმედების დროს დაჭერილ ბანდიტების დახვრეტის უფლება მისცა.

უნგრეთის კომუნისტები რუსეთში

მოსკოვი. 12 ოქტ. საბჭოთა რუსეთში მოელიან უნგრეთის ციხეებიდან განთავისუფლებულ 4000 კომუნისტს.

უკრაინა

სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია.

მოსკოვი. 18 ოქტ. სრულ. უკრაინის ც. ა. კ. ს. მე 3-ე სესიაზე ამხ. რაკოვსკიმ აღნიშნა, რომ უმუშევართა რიცხვი უკრაინაში გაიზარდა 100.000 კაცამდე. უმუშევრობამ ძალიან დასცა ინდუსტრია. რაკოვსკიმ მოუწოდა ადგილებს ენერგიულ ბრძოლისაკენ ამ მავნე მოვლენის წინააღმდეგ. მთავრობა თავის მხრივ ღებულობს ყოველგვარ ზომებს უმუშევრობის წინააღმდეგ.

შემდეგ რაკოვსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეულია სასოფლო მეურნეობის აღდგენისაკენ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატს მიეცა 13-ჯერ მეტი კრედიტი ვიდრე შარშან. დათესილ არეს რაოდენობა თვალსაჩინოთ შემცირდა, შარშანდელთან შედარებით.

კვირინგმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო შეკავშირების აუცილებლობას საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყველა საკითხებში საბჭოთა რესპუბლიკაში ერთიანი ფრონტით უნდა გამოვიდენო.

შაქრის ქარხანა.

მოსკოვი. 18 ოქტ. ჭარხლის კარგი მოსავლის გამო უკრაინაში შაქრის ქარხნების მუშების მდგომარეობა გაუმჯობესდა. კარლოვკაში, პალტავის გუბერნიაში, დიდი ზეიმით დაიწყო მუშაობა შაქრის ქარხანამ. მუშებმა და გლეხებმა მისალმება გაუგზავნეს ამხ. ლენინს და აღუთქვეს, რომ ისინი ილიჩის გამომრთელების გამო მიუძღვნიან მას წითელ საჩუქარს—აღორძინებულ ქარხანას.

აზერბეიჯანი

ბაქოს ბაზრობა. ბაზრობის დაწყებიდან 6 ოქტომბრამდე ბაზრობის კომიტეტში აღნუსხულია ხელშეკრულებანი—94,628 მან. 15 კაპ. ოქროთი, 22,386 ნახ. ოსმალური ქაღალ. ლირით და 3756,696,072 ათ. საბჭოთა ფულის ნიშნებით.

საფრანგეთის ფირმის სოსიფროსის დირექტორი ბაქომში დეპეშით აცნობებს ბაზრობის კომიტეტს, რომ გამგეობამ გაგზავნა ბაქოს ბაზრობისათვის ჩაის, საპონის, შაქრის და ტეხნიკური ნივთების დიდი პარტიები, მაგრამ ახლად შემოღებულ გადიდებულ ბაჟების გამო, საქონლის მიწოდება შეუძლებელი ხდება, რისთვისაც ის ითხოვს აღიძრას შუამდგომლობა საკავშირო საბჭოს წინაშე, რათა ნება დართონ მათ გადაზიდონ ეს საქონელი ძველი ტარიფით.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 18 ოქტ. 13-16 ოქტომბრამდე ბაზრობაზე მიღებულია 14 871 ფ. საქონელი. სპარსეთიდან ჩამოვიდა გემი ბამბით დატვირთული. 16 ოქტომბერს დადებულია ხელშეკრულება 200 ფუთი საბზის შეყიდვაზე 30 მილ. მან. ფუთი.

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის აღსანიშნავად.

ბაქო. 18 ოქტომბ. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ და შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება შეიტანეს ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე გამოეცვალოს სახელწოდება გაეროვნებულ წარმოებებს პროლეტარიატის წინამძღოლთა სახელზე.

კოოპერატივების დათვალიერება.

ბაქო. 18 ოქტ. ეს მესამე დღეა ბაქოს კავშირი აწარმოებს კოოპერატივების დათვალიერებას ქალაქის და სამრეწველო რაიონებში.

სომხეთი

ერევანი. 18 ოქტომბერი. **მილიციის კომუნისტური შემადგენლობის კურსები.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა პროექტი მილიციის კომუნისტური შემადგენლობის კურსების შესახებ. კურსები გაიხსნება 12 ნოემბერს. კურსანტების სახით მიიღებიან ერევნიდან და სომხეთის ყველა მაზრებიდან 34 კაცი, თვითეულ მაზრას უფლება მიეცემა გაგზავნოს 2 დან 6-დე კაცი.

საბჭოების ყრილობა. სომხეთის ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა სომხეთის საბჭოების ყრილობა მოიწვიოს 5 დან 12 დეკემბრამდე. ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა საარჩევნო კომისიების საქმეების მოსაწესრიგებლად გაგზავნოს დელიჟანს-ნოვობაიაზეთის რაიონში ალექსანდრე შავერდიანი, კარაკლის-ალექსანდროპოლ—ლორის რაიონში—დან. შავერდიანი, ერევან ეჩმიაძინის—ტატიანა, დარალაგეზის—შახსუვარიანი.

წიგნები. პოლიტ.-განათლების მთავარ განყოფილებას გადაეცა წიგნების კოლექტორი რამოდენიმე ათეული ათასი წიგნებით. ამ წიგნების ნაწილი გადაეცემა სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს და უნივერსიტეტს, დანარჩენი კი განაწილებულია მთავარ პოლიტიკურ განათლების საუბნო განყოფილებების შორის.

სახელმწიფო თეატრი ერევნის სახელმწიფო თეატრი გადავიდა მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილების განკარგულებაში, რომელმაც დაარსა სპეციალური კომისია სომხეთის თეატრალურ საქმეთა ხელმძღვანელობისათვის. სწარმოებს სასწრაფო მუშაობა დეკორაციების დასამზადებლად და თეატრის შესაკეთებლად. სეზონი წელს დაიწყება 1 ნოემბრიდან დასი შემდგარია. პირველად დაიდგმება სოფოკლეს „ანტიგონე".

საბჭოთა საქართველოში

აჭარა

მიწათ მოწყობა. მიწათ მოწყობის სამუშაოს ფართო მასშტაბით დაყენებას ხელს უშლიდა ორი გარემოება: 1) მცხოვრებლების ჩამორჩენილობა მიწით სარგებლობისა, და თითქმის ფეოდალური სისტემა 2) მიწის სიმცირე, რაც ხელს უშლიდა მიწის მუშებისათვის მიწის საკმაო რაოდენობით დარიგებას. მიუხედავად ამისა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა ყოველივე ზომები მიიღო საქმის გამოსასწორებლად. პირველ რიგში იყო მსხვილი მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევა და გადაცემა უმიწაწყლო და ღარიბ მცხოვრებლებისათვის. ეს იქნა განხორციელებული თესვის კამპანიის გატარების დროს. ჩამორთმეულ იქნა მიწა—464 დეს., რომლიდან გაუნაწილებელი დარჩა თავისუფალი უვარგისი მიწა—45 დეს. ქინტრიშის რაიონში.

აჭარის მიწით სარგებლობის დარგში ხშირად ადგილი ჰქონია დავას, რომლის გადასაჭრელად არ მოიპოვებოდა სპეციალურად ჩამოყალიბებული ორგანო.

ამის გამო, თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა აჭარის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა საგანგებო სადგილმამულო კომისია, მიწის საკითხების მოსაგვარებლად ამ სფეროში ანარქიის ლიკვიდაციისათვის. ეს კომისია უკვე ივლისიდან მუშაობს. მან მოახდინა ადგილობრივი დათვალიერება ზოგიერთ სოფლებში და გამოიტანა დადგენილება სარწყავ არხების საკითხის შესახებ. მიწადმოწყობის ღონისძიებათა რეალიზაცია მრავალ ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით ხშირად შეუძლებელი ხდება.

დახმარება წყალდიდობიდან დაზარალებულებს.

ბათომი. აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭომ შესწირა გურიაში წყალდიდობიდან დაზარალებულებს სამშენი მასალები ღირებულებით 100 მილ. მან.

კულტურული აგარაკები.

აჭარის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა აიღო აღრიცხვაზე, დაცვის და გამოყენების მიზნით პატრონებისაგან დატოვებული კულტურული აგარაკები. ზოგიერთ მათგანზე მოაწყვეს საბჭოთა მეურნეობა. შემდეგ დეფიციტიანი აგარაკები გადაწყვეტილია გაიცეს იჯარით. უკანასკნელ დროს მოეწყო კომისია, რომელიც გამოიკვლევს კულტურულ ადგილების აღრიცხვაზე აღების სისწორეს. ამ კომისიის დასკვნის შემდეგ, ზოგიერთი აგარაკები განთავისუფლებული იქნება აღრიცხვიდან კულტურის აღორძინების მიზნით და გადაეცემა იმ პირებს, რომელთაც დიდი შრომა გაუწევიათ ამ ადგილების გაშენებისათვის.

რუსეთის გემის დაბრუნება.

გემი „აიპეტრი"-ს კაპიტანის გადმოცემით, რომელიც დაბრუნდა ბათომში ანატოლიის რეისიდან, ოსმალებმა წაართვეს ბერძნებს ყოფილი რუსეთელი გემი „ურანია" და მოხსნეს მაზე საბერძნეთის დროშა. ეს გემი მალე მოვა რუსეთის ერთ-ერთ ნავთსადგურში.

„ცხენის წყალის" დაღუპვის გამო.

იტყობინებიან შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს „ცხენის წყალზე" ცეცხლის გაჩენის შესახებ. ცეცხლი გაჩნდა სამოტორო განყოფილებაში ღამის 10 საათზე, იმ დროს, როდესაც მემანქანე იქ არ იმყოფებოდა, ცეცხლის ჩასაქრობად მიღებული ზომები ვერ გამოდგა საკმაო და ცეცხლი გადავიდა ტრიუმში. წყალი განგებ ჩამოუშვეს ტრიუმში ცეცხლის გასაქრობად, მაგრამ ამან არაფრით არ უშველა და მხოლოდ გააძლიერა ცეცხლი. ხალხი მიცვივდა ნავებს, მაგრამ ისინი ყველასთვის საკმარისი არ იყო, ასე, რომ ზოგიერთი პირდაპირ ზღვაში გადაეშვა. მათ შორის იყო ფოთის პორტის უფროსი სკარლავი, რომელმაც ფიცარზე ხელ ჩაჭიდილი საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო წყალში. ნავები წავიდა სხვა და სხვა მხრივ: ზოგი ბათომში, ზოგიც ფოთში და შეატყობინეს კატასტროფის შესახებ. ცნობის მიღებისთანავე დაუყონებლივ წავიდა დასახმარებლად ფოთიდან შალანდა, ბათომიდან კი კატერი „ტავრიდა" მგზავრებსა და კომანდიდან აკლია 8 კაცი, რომელნიც ალბად დაიღუპენ წყალში. შალანდამ სხვათა შორის გაადარჩინა „ცხენის წყალის" კაპიტანის ცოლი, რომელიც წყალში თავს იმაგრებდა წრისებური რეზინის საშუალებით.

პასუხისმგებელ მუშაკების ტარიფი.

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა დაამტკიცა წინადადება ახალი ტარიფის გამოცემის შესახებ, რომლითაც პასუხის-მგებელ მუშაკებს ჯამაგირი გაუდიდდებათ 50 პროცენტით.

ლტოლვილები. ბათომში თავი მოიყარა აუარება ლტოლვილ ბერძნებმა, რომელიც მოედვენ მთელს ქალაქს და ემუქრებიან ეპიდემიის გავრცელებით. აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიიღონ ყოველივე ზომები, რათა დააბრუნონ ლტოლვილები უკან ზღვით თავიანთ სამშობლოში, ხოლო ლტოლვილ სომხების შესახებ, ეთხოვოს საკავშირო საბჭოს გაგზავნონ ისინი ერევანში. დაავადმყოფებულ ლტოლვილების მოსავლელად გადასწყვიტეს გაიღონ დამატებითი თანხები. კომუნალური მეურნეობის განყოფილებას წინადადება მიეცა გამოიყენოს უქმად მოხეტიალე ლტოლვილები საზოგადო სამუშაოსათვის.

გზების შეკეთება.

ბათომი. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ყოველთვიურად 100 მილიონი მანეთის გადადების შესახებ, გზატკეცილების შეკეთების საწარმოებლად.

გაძარცვა.

ბათომი. 14 ოქტომბერს დღით ქალაქის საავადმყოფოს მახლობლად გაძარცულია ავტომობილი, რომელსაც მიჰქონდა ხულოს სამაზრო თემისათვის 200,000,000 მანეთი ქართული ფულით კვლევა-ძიება სწარმოებს.

აფხაზეთი.

კოოპერაცია კოოპერატივთა კავშირმა აფხაზეთში გახსნა თავი ხილების-კონსერვების ფაბრიკა. ფაბრიკა წარმატებით მუშაობს. უმნიშვნელო დროს განმავლობაში ფაბრიკამ დაამზადა დაახლოვებითი 4 მილიარდი მანეთის ღირებულების ნაწარმოები.

სამხრეთ ოსეთი.

სახალხო განათლება.

გასულ სამოსწავლო წელს განათლების კომისარიატის მუშაობა მეტად ცუდ პირობებში მიმდინარეობდა: ქვეყანა დანგრეული იყო არ დარჩენილა არც ერთი სკოლის შენობა, მათი მოწყობილება გატაცებული იყო. სკოლის მუშაკები, რომელზედ მეტი ეჭვები იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობაში სასტიკ დევნას განიცდიდენ და იძულებული იყვნენ გაქცეულიყვნენ.

სცხოვრობდენ რა გალატაკებულ ლტოლთა შორის, ისინი მათთან ერთად იტანდენ ყოველგვარ ეპიდემიებს და დიდი პროცენტი სიცოცხლეს გამოესალმა.

საჭირო იყო მთელი სახალხო განათლების ხელახლად შექმნა. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი დიდი ხანია თბილი თანაგრძნობით ეკიდება განათლების საქმეს და ეს ხელ შემწყობი ფაქტორია სახალხო განათლების კომისარიატის მუშაობაში. მცხოვრებლებმა, რომლებმაც განიცადეს მენშევიკური დარბევის სიმძიმე ლტოლვილობა, [illegible] ეპოვათ თავიანთ [illegible] მატერიალური და მორალური ძალა სახალხო განათლების კომისარიატის დასახმარებლათ სკოლების აღდგენაში რის გამოც სახ. გან. კომ. შესძლო ბევრის გაკეთება.

მხოლოდ წარსული წლის ივლისში დაიწყო მოქმედება განათლების განყოფილებამ. მოწვეული იყო დარჩენილ მასწავლებელთა ყრილობა; ყრილობამ გამოიმუშავა საერთო გეგმა მუშაობისა და სასწრაფოთ იცნო ძველი სკოლების აღდგენა მაინც. სახ. კომისარიატის თანამშრომლებმა შემოიარეს ყველა რაიონები და ადგილობრივ პირობების დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ დანიშნეს 35 პუნქტი, სადაც შესაძლებელი იყო სკოლების გახსნა. მაგრამ ცხოვრებაში სკოლების მოთხოვნილება იმდენი აღმოჩნდა, რომ სამოსწავლო წლის განმავლობაში სკოლათა რიცხვი აყვანილ იქნა 45 დე.

სამასწავლებლო ძალების დიდი ნაკლულევანება იყო, იძულებული ვიყავით სამხრეთ ოსეთის რევკომის საშუალებით მოგვეთხოვა ყოფილ მასწავლებელთა განთავისუფლება სხვა და სხვა დაწესებულებებიდან. სასკოლო შენობები აღმოჩენილ იქნა თვითონ მცხოვრებლების მიერ ნაწილობრივ დაქირავებით და ნაწილობრივ ახალი შენობების აგებით; ხარჯებს არ ერიდებოდენ ყველაზე მეტათ დამშეული რაიონებიც. მოწყობილი და გახსნილ იქნა 45 სკოლა დანგრეულ სამხრეთ ოსეთის რაიონში, სახ. განათლების კომ. უშუალო მონაწილეობით ოლქის დაუზიანებელ რაიონეაში გახსნილ იქნა კიდევ 27 სკოლა. ცხინვალში გახსნილია ერთი პედაგოგიური ტეხნიკუმი, დანარჩენი მთლიანი შრომის სკოლების ტიპისა მათ შორის მხოლოდ ცხინვალის გაფართოვდა სრული 8 კლასიანათ, დანარჩენი 1, 2, 3 და მე-4 განყოფილებით. ყველა სკოლებში 79 განყოფილებაა, 3126 მოსწავლით და 91 მასწავლებლით, მათ შორის 11 უმაღლესი განათლებით, 4 საშუალოთი დანარჩენები კი დაბალით.

ამას გარდა კომისარიატის მიერ გახსნილ იქნა ერთი საბავშო სახლი 50 კაცისათვის. სამეცნიერო-სამეთოდიკო საკითხების დასამუშავებლათ სახ. გან. კომ. საშუალებით გახსნილ იქნა ცხინვალში სამეცნიერო სალიტერატურო საზოგადოება, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ახალ ოსურ გრამატიკის გამომუშავებაში ლათინურ საფუძველზე, ეხლა საბოლოოდ მიღებული. საშუალებებს სახალხო განათლებისთვის ვღებულობდით საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატიდან, რომელიც მიმდინარე ხარჯებსაც ვერ ფარავდა, სამხრეთ ოსეთის განათლების კომ. მიმართა მცხოვრებლებს რათა გაეწიათ დახმარება მასწავლებლებისთვის.

შეგროვილ იყო ხორბლეული, რომელიც დაეხმარა მასწავლებლებს მათ ხელ მოკლე ცხოვრებაში. მცირე მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო მასწავლებელთა შემადგენლობის სისუსტე. პირველ ხანებში სკოლებში დაშვებულ იქნენ უცენზო და უსტაჟო პირები, მაგრამ სწავლის მეთოდებით გაცნობილები. სამხრეთ ოსეთის განათლების კომისარიატმა პირველ რიგში საჭიროდ სცნო პედაგოგიური ტეხნიკუმის გახსნა. ტეხნიკუმმა დაიწყო მოქმედება ოქტომბერში კარგ მასწავლებელთა შემადგენლობით. მაგრამ სამწუხაროთ შენობით და სხვა საჭირო საშუალებათა მოკლებული. ამ ჟამად შენობა ტეხნიკუმისთვის გადმოცემულია სამხრეთ ოსეთის ცაკისაგან მასწავლებელთა სასწრაფოდ მოსამზადებლათ საჭიროა გახსნა კურსების, საშუალებები არ არის. საჭიროა სახელმძღვანელოები და საბავშო ლიტერატურა ოსურ ენაზე.

სწავლა-განათლების კომისარიატი ფიქრობს ყველა სკოლებთან შექნას კულტურული მეურნეობა· ამ მიზნით მოწყობილ იქნა სახალხო მიტინგები, რომლებზედაც ამ იდეიამ საერთო თანაგრძნობა პოვა.

არ მოგვეპოვება საკმაო ინვენტარი და მებელი.

კომისარიატი ფიქრობდა მოეწყო თავისი სადურგლოები.

საშუალება არ არის.

მეორე ყრილობა

საგიტაციო-საპროპაგანდო, პოლიტგანათლების და ქალთა განყოფილებებისა.

ყრილობა გაიხსნა 13 ოქტომბერს საღამოს ექვს საათზე.

ყრილობას დაესწრენ საქართველოს ყველა მაზრებიდან, სულ 40 დელეგატი. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული არიან ნინა მახარაძისა, ა. კვირიკაძე, გ. ხაჭაპურიძე,, ნადირაძე და მ. ცინცაძე.

საპატიო თავმჯდომარეებათ არჩ. ამხ. ლენინი, ლუნაჩარსკი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მიშა ოკუჯავა, კრუპსკაია, და კლარა ცეტკინა.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: 1. იდეოლოგიური ფრონტი და ჩვენი პარტიის ამოცანები; 2. მოხსენება ც. კ. აგიტპროპაგანყოფილების მუშაობის შესახებ; 3. პოლიტგანყოფილების მთავარმმართველობის მუშაობა; 4. მოხსენებები ადგილებიდან; 5. მეთოდები, ფორმები და მორიგი ამოცანები სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისა; 6. მეთოდები, ფორმები და ამოცანები პოლიტგანმანათლებელ მუშაობისა; 7. მუშაობის გეგმის შესახებ ახალგაზრდა და კომკავშირის; 8. ქალთა შორის მუშაობა; 9. ორგანიზაციული კითხვები.

ყრილობის დასაწყისს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის მცხოვანი რევოლიუციონერი ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც ყოველ მხრივ აშუქებს დღევან-

წერილები პროფკავშირთა ინტერნაციონალის შესახებ

I

კაპიტალი ყოველგან და ყოველთვის ერთდა იმავე ტენდენციებს ატარებს, მისი მისწრაფება ყოველ კუთხეში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ყოველ სახელმწიფოში ერთი და იგივეა. კაპიტალისტური საზოგადოება მიუხედავათ იმ თვისებისა, რომ თავის ნაციონალურ საზღვრებს გულმოდგინეთ იცავს, თოფ იარაღით ხელში, ეკვეთება ხოლმე მეზობელ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მიუხედავათ ამ დროებით გამთიშავ შეტაკებისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მუდამ ქონდათ და აქვთ ერთმანეთში ძმური კავშირი შრომის დასამონავებლათ. მათი ინტერნაციონალი, პროლეტარულ ამბოხების წინააღმდეგ, მუდამ მზათ არის თოფ იარაღით ხელში ჩაახშოს მშრომელთა ყოველგვარი ბრძოლა. ასეთი მათი სულის კვეთება იოლი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ კლასების არსებობის სოციალურ საფუძვლებს. ერთი სიტყვით ჩვენ შეგვიძლია გარკვეულათ ვთქვათ, რომ მას შემდეგ, რაც სამეურნეო ცხოვრების ფეოდალური კარჩაკეტილობა დაიმსხვრა, რაც სახალხო სამეურნეო ასპარეზზე კერძო კაპიტალმა პირველობა მიიპოვა, რაც საერთაშორისო ბაზარმა დაამსხვრია ნაციონალური ზღუდეები და მსოფლიო გაცვლა-გამოცვლას გზა დაუთმო, რამაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო ნაციონალური ზღუდეების გადალახვას და ნოყიერი ნიადაგი მოუპოვა ინტერნაციონალური კავშირის იდეის შემეცნებას, ამ მოვლენას ადგილი ქონდა და აქვს, როგორც გაბატონებულ, ისე დაბეჩავებულ კლასთა წრეებში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რამდენადაც ნაციონალური კაპიტალი იზრდება, ძლიერდება და წურავს ნაციონალურ სიმდიდრის წყაროებს, იმდენათ ის მიისწრაფის მსოფლიო ბაზრის ხელში ჩასაგდებათ; ეს გარემოება ხელს უწყობს ნაციონალურ კარჩაკეტილობის გაძლიერებას და უსპობს რეალურ ნიადაგს კავშირობის ინტერნაციონალურ გაერთიანებას [illegible]

ასეთია ძირითადი ბუნება კაპიტალისტური საზოგადოების.

მიუხედავათ ამ მდგომარეობისა კაპიტალისტური წარმოება და მისი განვითარება, რომელიც თავს უყრის პროლეტარიატს ერთ საწარმოო დაწესებულებაში და აყენებს მას ერთ და იმავე ეკონომიურ პირობებში, ხელს უწყობს პროლეტარიატის აზროვნების გაწვრთნას და მათ შეკავშირებას ინტერნაციონალურ მაშტაბში, დამონავებულ შრომის განსათავისუფლებათ.

მოკლეთ, საერთაშორისო სახალხო მეურნეობა და მისი განვითარება—ძალზე ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირის შექმნას, ამ გზით ბურჟუაზიული კავშირები ცდილობენ თავის ხელში აიღონ ინტერნაციონალურ მაშტაბით მეურნეობის საქმე და თვით გახდეს ხელმძღვანელი წარმოების ამა თუ იმ დარგში. ასეთია კაპიტალისტური ინტერნაციონალის ბუნება.

მეორე მხრივ მუშათა აუტანელი მდგომარეობა, მათი ბრძოლა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, იწვევს მუშათა კლასში სოლიდარობას და ბრძოლის გაერთიანების აუცილებლობას. შემდეგ პროლეტარიატი როგორც მოკლებული ყოველგვარ უფლებას, როგორც დაბეჩავებული მონობით, იოლათ გრძნობს დაჩაგვრის სიმწვავეეს და ამის გამო ის პირველათ სტიქიურათ და შემდეგ შეგნებულად იწყებს ბრძოლას უფლებების მოსაპოვებლათ, შრომის მონობიდან განსათავისუფლებლათ.

დაბოლოს, კაპიტალისტური წარმოება კვეთს რა აყალიბებს პროლეტარიატის ფსიხოლოგიაში კოლექტიურ ან უკეთ რომ ვსთქვათ სოციალისტურ ლტოლვილებას და რადგანაც პროლეტარიატი, ნარ-ეკლიან გზაზე მსვლელობაში, რწმუნდება ბურჟუაზიულ საზოგადოების აუცილებელ გარდაქმნაში სოციალისტურ ნიადაგზე, ის ამ პროცესის დასამთავრებლათ თავის დროშას აწერს პროლეტარიატის გაერთიანებას საერთაშორისო მაშტაბში.

ამ მოვლენებიდან შეიძლება [illegible] ეყრება პროლეტარულ ინტერნაციონალს და ის ხდება ერთად ერთ, ნამდვილ საერთაშორისო მუშათა კლასის საერთაშორისო ოჯახათ. ამ ხანის დასაწყისი მომდინარეობს 1864 წ., როდესაც ფაქტიურათ დაარსდა „ინტერნაციონალური მუშათა ასოციაცია". ამ ინტერნაციონალმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია შრომის დაცვის საქმეს და ამ საკითხის გარშემო დაულალავ და მედგარ ბრძოლას აწარმოებდა. ამ ინტერნაციონალის არსებობამ საგრძნობლათ შეუწყო ხელი მუშათა მოძრაობის გაძლიერებას და თან და თან ფეხს იკიდებდა მუშათა ეკონომიური ორგანიზაციები, სახელდობრ პროფორგანიზაციები.

მუშათა კლასის ინტერესების საერთო ხასიათი უეჭველია საფუძველი იყო მუშათა კლასის პროფორგანიზაციების საერთაშორისო მაშტაბში გაერთიანებისათვის, მაგრამ იმ ხანაში, როდესაც მხოლოდ ყალიბდებოდა მუშათა მოძრაობის საორგანიზაციო ფორმები, რასაკვირველია, წარმოუდგენელი იყო პროფკავშირების ინტერნაციონალის შექმნა. ამის გამო თავდან ნიადაგი ეყრება მუშათა კლასის პროფორგანიზაციებს ცალ ცალკე სახელმწიფოებში და რამდენათაც პროფესიონალური მოძრაობა ყალიბდებოდა და ძლიერდებოდა იმდენათ თანდათან ძლიერდებოდა, იმდენათ ნიადაგი უმზადდებოდა პროფკავშირების ინტერნაციონალის შექმნას.

ინგლისის პროლეტარიატი ელვის სისწრაფით აშენებს მუშათა პროფკავშირებს, შემდეგ საფრანგეთის, გერმანიის და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარიატი დგებიან პროფმოძრაობის ფერხულში შრომის ექსპლოატაციისაგან დასაცავათ. სხვადასხვა ქვეყნებში, ამა თუ იმ წარმოების მუშები, თავის ხელობის მიხედვით, აარსებენ თავიანთ პროფესიონალურ კავშირებს თავის ეკონომიური უფლებების დასაცავათ რამდენადაც ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში იკვეთებოდა და ძლიერდებოდა ნაციონალურ ფარგლებში პროფორგანიზაციები, იმდენად ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა პროფმოძრაობის გაერთიანების იდეა. ასეთი გაერთიანება უპირველესათ ეწყობა ნაციონალურ სახელმწიფოს ფარგლებში შემდეგ კი [illegible] ური პროლეტარული პროფესიონალური კავშირები აწყობენ საერთაშორისო ინტერნაციონალურ გაერთიანებას. ასეთი ინტერნაციონალური გაერთიანება 1870—80—90 წ. წ. მოაწყვეს ლითონზე, თუთუნზე, მაღაროში და სხვა წარმოების დარგში მომუშავე მუშებმა. რასაკვირველია, ეს გარემოება ხელს უწყობდა მთლიან პროფმოძრაობის ინტერნაციონალის შექმნას და მართლაც 1889 წ. პარიზის მუშათა კონგრესმა, შემდეგ 1896 წ. ლონდონის ინტერნაციონალურ კონგრესზე პროფესიონალურ მოძრაობის ინტერნაციონალურ მაშტაბში გაერთიანების საკითხმა პირველი ადგილი დაიჭირა. ჩვენ ასეთ ცდას ვნახულობთ კიდევ 1866 წელს პირველ ინტერნაციონ. ჟენევის კონგრესზე, მაგრამ ამ ცდამ დადებით შედეგებს ვერ მიაღწია,—არ იყო ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული ასეთი ინტერნაციონალის პრაქტიკული ამოცანების კონკრეტიული შინაარსი. მაგრამ რადგანაც კაპიტალიზმის საერთო განვითარება, აუცილებელს ხდიდა მუშათა კლასის ინტერესების დაცვას და რადგანაც პირველმა ინტერნაციონალმა ამ მიმართულებით ნაბიჯი გადადგა, უეჭველია მას თავის თავზე ღებული მისია უნდა დაემთავრებია. მართლაც პირველ ინტერნაციონალის ბრიუსელის და ციურიხის კონგრესებმა ეს მუშაობა ჩაატარეს. ამ კონგრესებმა გამოიმუშავეს პროფკავშირების ინტერნაციონალის პრაქტიკული ამოცანები და საორგანიზაციო ფორმების კონკრეტიული შინაარსი. ამის შემდეგ დაახლოვებით 1901 წ. ქ. კოპენგაგენში მოეწყო პროფკავშირების პირველი კონგრესი, რომელსაც დაესწრენ სკანდინავიის, ინგლისის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები. აქ პირველათ გაესკვნა სარძიკველი საერთაშორისო მუშათა პროფესიონალურ კავშირების ოჯახის აშენებას. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საჭირო იყო მიცემოდა ინტერნაციონალის არსებობას პრაქტიკული საქმიანობის შინაარსი და მართლაც ჩვენ ვუყურებთ, რომ ეწყობა თვითეულ სახელმწიფოს პროფკავშირების მდივნობის საერთაშორისო კონფერენციები, რის შემდეგაც 1904 წ. დუბლინის კონფერენციის თანახმად მოეწყო საერთაშორისო პროფ-მოძრაობის სეკრეტარიატი, რომლის მდივნათ არჩეული იყო ლეგინი.

ბ. ნუცუბიძე.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოს ათ მაზრებში, სადაც წრევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა სწარმოებს, ოქტომბრის 19 თვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 473,184 ფუთი, ანუ 82,3 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

რამდენია აკრეფილი თვითეულ მაზრაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რამდენი ფუთი ხორბლეულის ერთეულია შეწერილი თვითეულ მაზრაზე, რამდენია აკრეფილი და ეს აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენს პროცენტს შეადგენს.

მაზრები.	რამდენი ფუთი ხორბალი აქვს წელს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. გორის მაზრა .	100.000	100 000	100,0
2. თელავისა. . .	60 000	60.000	100,0
3. სიღნაღისა. . .	100 000	100.000	100,0
4. ახალციხისა . .	55.000	45.064	81 9
5. სამხრეთ ოსეთი .	25.000	20.249	80,9
6. ტფილისისა . .	70 000	62.300	89,0
7. დუშეთისა. . .	30.000	22 037	73,4
8. თიანეთისა . .	20 000	11 648	58,2
9. ახალქალაქისა .	36 000	17.821	49,5
10. ბორჩალოსი . .	80.000	34 065	42,6
სულ	576.000	473,184	82,3

კამპანიის მსვლელობა.

თბილისის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით ოქტომბრის 1-დან 14-მდე წრევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში შეგროვილია: ხორბალი—6,670 ფ., ქერი—1,104 ფ., სიმინდი—326 ფ, ლობიო—383 ფ., მხალი—9 ფ, მატყლი—3 ფ, და ფულად 749,954,000 მან. ეს ფული შეგროვილია ნაცვლად 3,069 ხორბლისა, 6 ფუთის კარაქისა და 28 ფუთის ხორცისა.

ამავ ხნის განმავლობაში შარშანდელ სასურსათო გადასახადის ნარჩენის ანგარიშში შემოვიდა ფულად 4,880,000 მან.

წისქვილის გადასახადი შემოვიდა ამავ ხნის განმავლობაში: ხორბალი—31 ფ, ქერი—6 ფ, სიმინდი—13 ფ. და მარილი—8 ფ. 25 გ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ მაზრაში წრევანდელ გადასახადის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს და დღემდე ყველაფერია გაკეთებული რის გაკეთებაც შეიძლებოდა ადგილობრივ პირობათა მიხედვით. გადასახადის აკრება ამ მაზრაში სულ ჩქარა დასრულდება. აღსანიშნავია, რომ თერთმეტს თემში უკვე სრულიად არის აკრებილი წრევანდელი გადასახადი. ეს თემები შემდეგია:

	შეწერილი ჰქონდა.	აკრებილია
1. ავჭალისა	2.100	2.100
2. დიღომისა	1.300	1.300
3. ასურეთისა	6.000	6.000
4. თელეთისა	2.200	2.200
5. წყნეთისა.	700	700
6. კოჯორისა	1.000	1.000
7. სართიჭალისა	7.500	7.500
8. პრიუტისა	1.000	1.000
9. მანგლისისა	3.600	3.600
10. წალკისა	10.000	10.000
11. გომბორისა	1.100	1.100

დანარჩენს თემებშიც თავდება გადასახადის აკრება. ეს თემებია: ნორიოსი, საგარეჯოსი, ყარაიზისა, ალბულაღისა და მარტყოფისა. პირველში აკრებილია 95 პროცენტი შეწერულ გადასახადისა, მეორეში—88 პროც., მესამეში—82, მეოთხეში—72 და მეხუთეში—42 პროც.

ბორჩალოს მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით ოქტომბრის 8 დან 14-მდე წრევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში შეგროვილია: ხორბალი—10.209 ფ., ქერი—1 038 ფ. და ფულად 839 ფუთი ხორბლის ნაცვლად—84.747.000 მან.

ამავ ხნის განმავლობაში შარშანდელ გადასახადის ნარჩენი შემოვიდა: ხორბალი—185 ფ., კართოფილი—284 ფ., ერბო—4 ფ, ყველი—2 ფ, კომპოსტო—144 ფ. და ფულად: 2 ფუთი ხორბლის ნაცვლად—400.000 მან. და ხორცის ნაცვლად 825 ფ.

დელ საერთაშორისო მდგომარეობას და ეხება მომავლის პერსპექტივებს, რომლის შემდეგ მიმართავს ყრილობას და მოუწოდებს დელეგატებს თავდადებულ მუშაობისაკენ განათლების სფეროში, იდეოლოგიურ ფრონტზე გასამარჯვებლად, ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენების გამო გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია. „მოისმინა რა ამხ. მ. ცხაკაიას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, აგიტპროპ. და პოლიტგანათლების განყოფილების მეორე ყრილობა აღნიშნავს სრულ სიმტკიცეს საბჭოთა რესპუბლიკებისა და 3 კომინტერნის ძლიერ გავლენას, ახლაო ის დრო, როცა წითელი დროშა ფრიალდება ყველგან, ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კომუნიზმს და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის შედეგები იმაზე დამოკიდებულია, თუ რამდენად შეძლებს პროლეტარიატი თავის კულტურულ ძალების მობილიზაციას და კულტურული ფრონტის შექმნას.

ჩვენ, ამ ყრილობის წევრები, არ დავიშურებთ თავიანთ ძალ ღონეს ამ ფრონტისათვის. ამხ. მიხა ცხაკაიას სახით ყრილობა ესალმება მესამე კომინტერნს და ძვირფას წინამძღოლს საერთაშორისო რევოლიუციის ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

დედობის და ბავშობის დაცვის საზოგადოების ამიერ-კავკასიის პირველი ყრილობა

დილით 16 ოქტ. მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენებანი ადგილებიდან; ბაქოდან აქ. მასუმიანმა; სომხეთიდან ამხ. თარხანოვისამ; თბილისიდან ბოქოვსკიმ და სუროვცევმა და ბათომიდან ემილიანოვისამ.

საერთოდ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ყველა რესპუბლიკებში, ბლომად არიან უპატრონო და უთავშესაფარო ბავშვები, და სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე იმყოფება მხოლოდ მეხუთედი ნაწილი.

გარდა ამისა იმ ბავშვთა, რომლებიც საჭიროებენ უზრუნველყოფას სხვადასხვა საბავშვო დაწესებულებანი, საბავშვო ბაღები, შრომის სკოლები და ტეხნიკუმები ისეთ მძიმე საბინაო კრიზისს განიცდიან, რომ სასკოლო სანიტარიის თვალსაზრისით მათი იმავე ბინებში გაჩერება ყოვლად დაუშვებელია. მაგ. ბაქოში 22 სკოლიდან მხოლოდ სამი მოთავსებულია საკუთარ ბინაზე, დანარჩენების ბინები დაკავებულია სამხედრო და სხვა დაწესებულებების მიერ. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება თბილისი.

მოხსენებებში და კამათში აღნიშნულ იქნა ძირითადი გზა ბავშვების სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფის საქმეში. საჭიროა, ეკონომიურ პირობების გაუმჯობესობასთან, მასწავლებელთა კვალიფიციურ პერსონალის შერჩევასთან და სანიმუშო ბინების მოწყობასთან ერთად, არა ისეთი დაწესებულებების გამრავლება, არამედ ნივთიერ მდგომარეობის ანგარიშის გაწევით მათი შემჭიდროება და გაღრმავება.

16 ოქტ. საღამოს სხდომა მოუნდა კომროვსკის, ზუნტურიდის და ტარხანოვის მოხსენებას ბავშვთა სექსუალურ აღზრდის შესახებ. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ საჭიროა სქესობრივი აღზრდის ობიექტის და სუბიექტის დაკვირვების დროს ყოველმხრივი შესწავლა როგორც პედაგოგიურ ისე ანატომიურ-ფიზიკური მხრივ ბავშვთა აღზრდის ობიექტის.

მორიგი მოხსენებები.

დილით 19 ოქტ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში: 1) კომროვსკი—პედაგოგიურ ინსტიტუტის ორგანიზაციის პროექტი. 2) შენგელიძე—უთავშესაფარო ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ. 3) ორენბოვსკი—ყურის, ცხვირის და სახის ავადმყოფობანი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

საღ. 19 ოქტ. კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში—ჩუდნოვსკის და ზანდუკელის მოხსენება დეფექტიური ბავშვების შესახებ.

საღამოს 14 ოქტ. კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში: 1) შხიანი—შრომის სკოლის პრინციპები და საფუძვლები ჰიგიენის თვალსაზრისით; 2) ვ. მირაქოვი—ბავშვთა სახლების შესახებ; 3) ჩუდნოვსკი—პსიქოანალიზის გამოყენება პედაგოგიკაში.

სასოფლო მეურნეობა

როგორ უნდა მოვუვლოთ წრეულს ჩვენი ვენახებისთვის?

ყველა ჩვენთაგანისათვის ცხადია, თუ რა სიმდიდრეს შეადგენს ჩვენი ქვეყნისათვის ვენახი. გაშენება-მოვლა ვაზისა იყო, არის და იქნება ჩვენი ხალხისათვის მეურნეობის ერთი უპირველესი დარგთაგანი, რომ მთლათ საქართველოში დაახლოვებით მივიღოთ ასი ათასი დღიურამდე გაშენებული ვაზი და დღიურზედ სულ ნაკლები ოცი კოკა გამოსავალი ვიანგარიშოთ და დღევანდელ ფასს ჩავიდეთ, მაშინ დავინახავთ, რომ ორი ათასი მილიარდის მოსავალი მოსდის ჩვენს ხალხს—ღვინო უპირველესი ჰიგიენური სასმელი და მასთანავე თვალსაჩინო სავალიუტო საქონელი.

მრავალი სენი დაატყდა თავს მევენახეობას, მაგრამ სწავლა ცოდნამ ყველა ეს დასძლია და დასთრგუნა, ავიღოთ ფილოქსერა, მილდიუ, ანუ ვაზის ობი და ნაცარი, როგორ ლამობდენ ვაზის მოსპობას, მაგრამ ყველა ეს მევენახემ თავიდან აიშორა, რადგან მეცნიერება ჩაერია ამ საქმეში და ფილოქსერის წინააღმდეგ ნამყენ ვაზზედ გადავიდა, ნაცარს გოგირდის წამლობით დასძლია და ვაზის ობს კიდევ შაბიამნით.

უნდა ვთქვათ, რომ მაინც ზოგჯერ შაბიამნით წამლობა თითქო ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, როგორც მაგალითად, წრეულ და ვაზი ხდება, გამოსავალი აკლდება, მაშასადამე ჩვენს ხალხს ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიეღო, ეკარგება.

ჯერ წარმოიდგინეთ მევენახეთა შორის ისე გარკვევით არ არის შეტანილი ცოდნა, თუ როდის ან როგორ უნდა უაქიმოს შაბიამნით.

უნდა ვსთქვათ, რომ იმისთანა უამინდობის წელიწადი ვაზისთვის, როგორიც არის წრევანდელი წელიწადი, ძლიერ იშვიათია ჩვენში. რამდენათაც შარშან ხელშემწყობი ამინდი იყო ვაზისთვის, იმდენათ წრეულ საზარალო არის: მზე კარიანი, წვიმიანი, და წვიმის შემდეგ ცხელი დღეები—აი ამინდი ვაზის ობისათვის (მილდიუსთვის), როდესაც იგი სპობს, სწვავს, სთუთქავს არამც თუ ფოთოლს, არამედ ახლათ გამოსახულ მტევნებს.

ამ გვარ წელიწადში სხვა ნაირათ უნდა ვაზსაც რჩენა და დიდი სიყოჩაღე უნდა გამოიჩინოს ვენახის პატრონმა, რომ გადაარჩინოს ვაზი ამ ავათმყოფობას; საქმე ის არის, რომ პერიოდი წამლობისა სხვა წლებში, ნორმალურ ვაზისთვის ვრცელდება თითქმის ერთი კვირის განმავლობაში, ე. ი. ორი დღით, სამი დღით თუ ექვსი დღით ადრე თუ გვიან უწამლავთ დანიშნულ ვადაზედ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამ ნაირ წელიწადში კი, როგორიც არის წრეულ, ორისა კი არა, ერთი დღის დაგვიანებასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს და არც შეიძლება და უსათუოთ ვადაზედ უნდა დაესხას წამალი. აქ არის ან თუ სამი დღის გამოხანება სრულიად დაღუპავს მოსავალს ან შესამჩნევ ზარალს მიაყენებს, როგორც ეს მოხდა წრეულ ქართლის ბევრ ვენახებში, ს. კასპიდან მოყოლებული დ. ცხინვალამდე. მაგრამ როგორ და რა ფრივ უნდა უწამლოს მევენახემ თავის ვაზს, როცა აგერ, მაგალ., შუადღემდე წვიმს, მერე შედგება, გამოიკაშკაშებს მზე და საღამოზედ ისევ დაუშვებს კოკის პირულათ. მევენახე შესცქერის ამინდს და ელის, რომ დადგეს ამინდი და მინამ ამინდი დადგება, ხომ ვაზიც გაფუჭდება და მოსავალიც, მაშასადამე, დაიღუპება.—ეს მოვლენა მარტო ჩვენში კი არა ხდება ხოლმე. ამგვარი მოვლენა იყო საფრანგეთში 1910 წელს, როდესაც ვაზის ობმა უმეტეს ნაწილებში საფრანგეთში გაანახევრა მოსავალი და ზოგიერთ ადგილებში, მაგ. ბურგუნდიაში, სრულებით მოსპო. ამის გამო მეღვინე მევენახეთა ჟურნალმა „რევიუ დე ვიტიკულტურა“, რომელსაც სათავეში უდგანან განთქმული მეცნიერები, კვლევაძიება მოახდინეს და აი რა დასკვნა გამოიტანეს:

საცა ვაზი წახდა, იქ დაგვიანებული ყოფილიყო ვაზის რჩენა შაბიამნით, საკმარისათ არ ყოფილიყო შესხმული შაბიამანი. ავათმყოფობა გამოჩნდა მაისში და რჩენა კი დაეწყოთ თიბათვეში, როცა რჩენა მარგებელია, რომ წინასწარ იყვეს შესხურული ვაზი.

ერთი რამ გამოიკვლიეს კიდევ: საქმე ბევრჯელ წამლობა კი არ არის თურმე, საქმე თავის დროზე წამლობაა.

ვისაც ეს გაგებული აქვს ჩვენში, ის უსათუოთ გადაარჩენდა ვაზს.

ჩემი დაკვირვებით, აი როგორ უნდა მოქცეულიყო წრეულ მევენახე, რომ გადაერჩინა ვაზი: მევენახემ წინდაწინვე უნდა დაიმზადოს გახსნილი შაბიამანი. ცალკე და გამზადებული ჰქონდეს უკიროთ, ამ გვარი ხსნილი ხომ შეინახება, რამდენი ხანიც გინდა, თუნდა რამდენიმე წლობით. აი გამოიამინდებს თუ არა, არ შეუშინდეს, რომ ვაზებში იტალახებს, თუ ვაზს ფოთოლი კი შეუშრა, მაშინათვე მიუმატოს კირი და დაუწყოს სხურება ვაზს. ერთი კი შეშრეს ვაზზედ დასხმული შაბიამანი. ბორდოს სითხე და მერე ხომ ფიქრი არ არის, რაც უნდა კოკის პირული ნიაღვარიც მოვიდეს ვეღარ ჩამორეცხავს, თუ, რასაკვირველია, ბორდოს სითხე კარგათ არის გაკეთებული, კარგათ არის შეზავებული, დაუშლელი კირი აქვს მიმატებული, კირის წყალი გაცრებულია ჩასხმული, რომ არ აიჭრას და ქიმიკური ქაღალდით არის გაშინჯული და შემოწმებული მთლათ ბორდოს სითხის ღირსება, ერთი რამ არის სანატრელი კიდევ. რომ უსათუოთ არამც თუ ფოთოლზედ იყოს შესხმული წამალი, არამედ მტევნებზედაც, აი ამისათვის იციან საფრანგეთში, როცა ასხურებენ ვაზს, თითქო სთვლიან ვაზზედ მტევნებს, ეს იმისთვის, რომ სცდილობენ მტევნებს უსათუოთ მოახვედრონ წამალი. თუ ესე ბეჯითათ იქნება ნაწამლი ვენახი, მაშინ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ვაზი გადარჩენილი იქნება იმ ავათმყოფობისაგან, რომელიც დიდს შიშს წარმოადგენს, მეტადრე იმისთანა წელიწადში, როგორიც არის მიმდინარე წელიწადი.

გახო ზიბილაშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბირჟა სექტემბერში

სექტემბრის განმავლობაში ბირჟის საშუალებით გაცემულია 117.900 ოსმ. ქაღ. ლირა, 10.500 სტერლინგი და 500 ოქროს ლირა, რაც (თუ გადავიყვანთ ერთ რომელიმე ვალიუტაში, მაგალ. ოსმალ. ლირებში) შეადგენს 191.945 ოსმ. ქაღ. ლარას.

ვაჭრობის დაგვარად ვალიუტის გაცემა შემდეგ წესით ხდებოდა: პირველ რიგში დგანან ფქვილით მოვაჭრენი, რომელთაც მიიღეს 66.950 ოს. ქაღ. ლირა და 41.000 გირ. სტერლ. ანუ მთელი გაცემული ვალიუტის 50 პროც. მეორე ადგილი უჭირავს იმ დაწესებულებებს, რომელთაც მიიღეს 19 950 ოსმალური ლირა, 3200 გირ. სტერლ, ანუ მთელი გაცემული ფულის 21,5 პროც. მესამე ადგილი—შერეულ ვაჭრობას, რომლის წარმომადგენლებმაც მიიღეს 8.100 ოსმალ. ქაღ. ლირა და 2.240 გირ. სტერლ. ანუ მთელი გაცემული ვალიუტის 12 პროც. მეოთხე ადგილი—კოოპერატივებს, რომელთაც მიიღეს 11.000 ოსმალური ქაღ. ლირა, 700 გირ. სტ. და 500 ოქროს ლირა ანუ გაცემული ვალიუტის 10 პროც. და ბოლოს უკანასკნელი ადგილი უჭირავთ მანუფაქტურით მოვაჭრეებს, რომელთაც მიიღეს 11.900 ოსმალ. ქაღ. ლირა და 300 გირ. სტრელინგი ანუ გაცემული ვალიუტის 6,5 პროც.

ყოველდღიურად გაცემული ვალიუტის ჯამი უდრის 10.000 ოსმ. ქაღ. ლირას.

სექტემბერში გაცემული ვალიუტა 16.000 ოსმ. ქაღ. ლირით და 8 421 გირ. სტერლინგით მეტი იყო, ვიდრე აგვისტოში, მაგრამ შემცირდა დოლარების გაცემა 7.600-ით, ოქროს ლირა—3200-ით. თუ მთელი ვალიუტას ოსმალ. ლირებში გადავიყვანთ, მაშინ სექტემბერში გაცემული ვალიუტა 42 000 ოსმ. ქაღ. ლირით მეტი იყო ვიდრე აგვისტოში.

ბირჟაზე დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებების მხრივ შემდეგი ცნობებია: ბირჟის საშუალებით დადებულია 16 ხელშეკრულება 39.096 ოსმ. ქაღ. ლირ. საღირალ 3.327 ტომარა ფქვილზე და 137 ნახ. ფ შაქარზე.

16 ხელშეკრულებიდან 15 ეკუთვნის ფქვილს და 1—შაქარს. ფქვილის ფასი ხარისხის და ხელშეკრულების პირობის მიხედვით ცვალებადი იყო 9—13 ლირ. ტომარა შაქრის ფასი კი მტკიცე იყო—უდრიდა 5—05 ლირას ფუთი.

ბირჟაზე გამოცხადა ერთჯერ შესასვლელი ბილეთით 386 კაცი, მაშასადამე საშუალოდ დღეში უდრის 150 კაცს, აგვისტოში იგივე საშუალო ციფრი უდრიდა 13 კაცს.

—

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი. 19 ოქტ. ტფილისის სავალიუტო ბირჟის ოფიციალურ ცნობა 18 ოქტ.: ოქროს ათ მანეთიანი—1,050,000 მ. ოსმალ. ქაღ ლირა—155,000 მ. ოსმალეთის ლირა ჩეკი 145.000 სტერლინგი 1,000,000. დოლარი ამერიკული—225,000.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. ბათომის სავაჭრო სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ცნობა 14 ოქტ. ქაღ. ოსმალ. ლირა—155 159.000 ქართული ბონებით, დოლარი—146-148 პიასტრი. გირვანქა სტ.—650 660 პ. ოსმალ. ოქრ. ლირა—550-560 პიასტრი. ოქროს ათ მანეთიანი—680 690 პიასტრი. 20 ფრაკი—220 230 პიასტრი. 20 იტ. ლირა—130-140 პიასტრი. გერმანიის მარკას კურსი არ აქვს.

ბერლინის ბირჟა

ბერლინი. 18 ოქტ. გირ. სტერლინგი—12858,90. დოლარი—2896 37. ჰოლანდიური გულდენი—119858,90.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 18 ოქტ. პარიზი-59,25, ნიუიორკი 4,4. ბრიუსელი—64,72; ჟენევა—24,03. ამსტერდამი 11,3$^{5}/_{8}$. მილანი—105$^{1}/_{8}$ ბერლინი—12650,00. სტოკჰოლმი—16,525. კოპენჰაგენი—22,275. ქრისტიანია—24,45. ვენა—320000,00. პრაგა—136,00. ჰელსინგფორსი—119,00. მადრიდი—99,04.

პარიზის ბირჟა

პარიზი. 18 ოქტ. ლონდონი 59,90. ნიუ იორკი 13,4550. გერმანია 0,475. ესპანეთი—206,60

თავრიზის ბირჟა.

თავრიზი, უცხოეთის ვალიუტის კურსი ბონებით: ოქროს ოსმალური ლირა—52,40; ოქროს 10 მან.—58 20, გირვანქა სტ.—55. დოლარი—12; ვერცხლის მანეთიანი—18,25. ვერცხლის წვრილი ფული—5 მანეთი—8,25; ოსმალური ქაღალდის ლირა—7,80. დოლარი—13,25. ნიკოლოზის 500 მანეთი—49,0 100 მანეთიანი—10; კერენსკის ფული 1000—1,25. აზერბეიჯანის—2,50; ქართული—50.

სწავლა-განათლების საქმე ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთის განათლების განყოფილება თავის დროზედ შეუდგომია სასწავლებლების შენობების შეკეთებას, როგორც თვით ოზურგეთში, ისე მაზრაში და, მოსალოდნელია, რომ ეს რემონტი სწავლის დაწყებამდე დამთავრდება. შენობების რემონტს აწარმოებს განათლების განყოფილება ნასესხები ფულებით, ზოგჯერ ნისიად, ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი ადგილობრივი საზოგადოების დახმარებით. საზოგადოება იშვიათის სიყვარულით ეპყრობა სწავლა-განათლების საქმეს მაზრაში და ამიტომ იგი მუდამ მზადაა ფულით, საკუთარი შრომით თავისი წვლილი შეიტანოს სწავლა-განათლების მოწყობის საქმეში. სწორედ ასეთი იშვიათი სიყვარულით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელ ოზურგეთის მაზრაში ადგილობრივი მკვიდრთა დახმარებით განათლების განყოფილებას მოუხერხებია სასწავლებელთა შენობის 80 პროც. შეკეთება.

ოზურგეთის მაზრაში კომისიამ ინახულა დ. ძვაბის თემი, საცა ადგილობრივ ყრილობაზედ საბოლოოდ გადაწყდა მთლიანი შრომის სკოლის გახსნის საკითხი სადაო საკითხი სკოლის დასაარსებელ ადგილის მოსაძებნათ, გადაეცა სპეციალურ კომისიას, ამორჩეულს ყრილობის მიერ.

განათლების განყოფილების განმარტებით, პროგრამების შეუსრულებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სწავლა წარსულ წელს დაიწყო შედარებით გვიან, ვინაიდან ყველა სასწავლებელს საკუთარი შენობა არ მოეპოვებოდა და სასწავლებლების შენობების რემონტიც დაგვიანდა. გარდა ამისა, მასწავლებლები უკიდურეს ნივთიერ შევიწროებას განიცდიდენ წლის განმავლობაში, რაიც, ცხადია, ხელს უშლიდა მათ ნაყოფიერ მუშაობას. ნაწილი მასწავლებლებისა შედარებით მოუმზადებელია, საკმარისად არ იცნობენ ახალ სკოლის პრინციპებს და რასაკვირველია, პროგრამასაც სავსებით ვერ ასრულებენ.

განათლების განყოფილებას ზაფხულის განმავლობაში მიუღია ყოველგვარი ზომები, რომ სასწავლებელთა რიცხვი შეემოკლებინა. იმ სოფლებში, რომლებიც ერთი მეორესაგან 1 2 ვერსზედ არიან დაშორებული, დაუტოვებიათ ერთი სკოლა, ხოლო დანარჩენ სოფლებში კი, ერთი მეორისაგან სიშორის გამო, ზემოხსენებული ზომის ცხოვრებაში გატარება და დადასტურება შეუძლებელი [illegible]. მასწავლებელთა რიცხვის შემცირება, როგორც ამ მაზრაში, ისე რესპუბლიკის დანარჩენ კუთხეში, არ ხერხდება განსაკუთრებით არა სრულკომპლექტიან შრომის სკოლებში, ვინაიდან ამ სკოლებს ყოველწლივ თითო განყოფილება ემატება და, მაშასადამე, ზედმეტი მასწავლებელი ესაჭიროება. მასწავლებელთა რიცხვი რომ მაინც კიდევ შეემოკლებინათ და სახელმწიფოსათვის რამდენიმე მაინც შეემცირებინათ ხარჯები, განათლების განყოფილებას სოფლებში ერთი მასწავლებლისათვის ორი და ზოგჯერ მეტი განყოფილება ჩაუბარებია.

ოზურგეთის განათლების განყოფილების ცნობებით მის (ლანჩხუთიც ამ განყოფილებაში შედის) განკარგულებაში მომავალ სასწავლო წლისათვის უნდა დარჩეს 5 ტეხნიკუმი, 143 შრომის სკოლა, რომელთაგან 36 სრულკომპლექტიანია, ხოლო 107 არასრულ კომპლექტიანი და 3 დაბალი სპეციალური სასწავლებელი.

მოხსენებულ სასწავლებლებს მომავალ სასწავლო წლის განმავლობაში დასჭირდებათ 610 მასწავლებელი და 127 ტეხნიკური მოსამსახურე, სულ კი 737 თანამშრომელი.

კომისია გაეცნო რა ადგილობრივ სწავლა განათლების მდგომარეობას ოზურგეთის მაზრაში და წინასწარ შეუთანხმდა რა ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს ადგილობრივი საშუალებიდან სასწავლებლების შესანახად ხარჯების გაღების საკითხში, მოახდინა შემდეგი განკარგულებანი:

1. დაევალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივ საშუალებიდან დააკმაყოფილოს ჯამაგირებით 127 ტეხნიკური თანამშრომელი, 110 მასწავლებელი, გასწიოს ყოველი ხარჯები სასწავლებლების შენობების რემონტისა, მიიღოს თავის თავზე ჯამაგირები სკოლების სანიტარული ექიმე-

მუშათა ცხოვრება

ცეცხლის მქრობელთა რაზმი

ცეცხლის მქრობელთა რაზმს ყავს თავის ნაწილები ქალაქის სხვადასხვა ადგილას. ერთი ასეთი ნაწილი ბინადრობს ჟუკოვსკის ქუჩაზე. მუშებს თავის მოვალეობისადმი დამოკიდებულება მშვენიერია. ამ მხრივ სამხედრო რკინის დისციპლინაა. რაზმს აწუხებს საზამთრო სპეც ტანისამოსის მიუღებლობა. ზამთარი უკვე მოახლოვდა და საზაფხულო ტანისამოსში მუშაობა ყოვლად შეუძლებელი ხდება. დროა ამ მხრივ ზრუნვის დაწყებისა.

კულტმუშაობა კარგად მიმდინარეობს. არსებობს 1 და 2 საფეხურის სკოლები. არსებობს აგრეთვე დრამატიული წრე. იმართება წარმოდგენები და სხვა. რაზმს მოსდის გაზეთებიც.

მქრობელი.

—

კორსუნის კანფეტების სახელოსნო

ამ სახელოსნო-ფაბრიკაში მზადდება ეგრეთ წოდებული „ტიანუშკები“. ფაბრიკაში მუშაობს უმთავრესად მისი მეპატრონის ოჯახობა. არის 7—8 დაქირავებულიც. დაქირავებულები მუშაობენ დღიურათ. თითო ყუთი კამფეტის დამზადებაში ღებულობენ 15 ათას მანეთს. 8 საათის მუშაობაში ამზადებენ 6 ასეთ ყუთს. ამგვარად დღიურათ ღებულობენ 90 ათას მანეთს. მუშები და ხაზეინები ამ ფაბრიკაში ერთობ „შეხმატკბილებული“ არიან და ამიტომ მუშები თავის ინტერესების სადარაჯოზე ვერ დგანან ყოველთვის. ფაბრიკაში არაა დადებული მოსამსახურეებთან კოლექტიური ხელშეკრულება. ეს კი ცუდია და მუშის უფლებრივი მდგომარეობა ხაზეინის კაპრიზებზეა დამოკიდებული.

ა—რი.

—

ლუნაჩარსკის სახელობის საბავშვო სახლი

ამ სახლში მოსამსახურეთა მდგომარეობა ვერ არის სახარბიელო. საქმე ბევრია და მოსამსახურეები ვერ აუდიან მუშაობას. ეს იმ ანგარიშითაა მოხდენილი, რომ ბავშები დაეხმარებიანო. მთელ საბავშო სახლს, სადაც მოსამსახურეების გარდა 107 ბავშია 7—15 წლამდე, 2 მრეცხავი ყავს. ეს ისეთი მცირე შტატია მრეცხავების, რომ ყოვლად შეუძლებელია სამუშაოს აუვიდენ. ამიტომაც ერთი მრეცხავი რომ ავათ გახდება, მაშინ მრეცხავეობას ეწევა მასწავლებელი ქალი. მრეცხავები მუშაობენ 12 საათს. ის ადგილი სადაც რეცხავენ, ტეხნიკურათ მოუწყობელია: მრეცხავებს წყალში უდგიათ ფეხი. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

მ—რე.

—

სადგური ყარაიაზი

სადგურზე მუშაობს 6 მუშა. მუშაობას ეწევიან ნარდათ, ყოველდღიურათ იღებენ შრომის ხელფასს საერთოდ 200,000—300,000 მანეთამდი, გარდა დღიური ხელფასისა, არავითარ დახმარებას არ იღებენ. არ ეძლევათ სურსათი. მუშაობას ეწევიან დილის ექვს საათიდან საღამოს 8 საათამდი. არის შემთხვევები, რომ მუშაობენ მთელი 24 საათის განმავლობაში. საექიმო დახმარებას მოკლებულნი არიან. მუშებს შორის ძლიერ გავრცელებულია მალარია. ამ სენის გავრცელებას ხელს უწყობს ანტისანიტარული პირობებიც. ექვსი მუშათაგან ამ ჟამად ავათ არის 2. ავათმყოფთ თავიანთი ჯიბიდან უხდებათ ფულის გაღება ექიმის და წამლისათვის. ამ გარემოებით მუშები საშინლად არიან უკმაყოფილონი და მოითხოვენ ანგარიშის გაწევას მათ სამართლიან მოთხოვნილებისათვის: მუშები უდიდეს დახმარებას უწევენ ავათმყოფ ამხანაგებს. იძულებულნი არიან თავიანთი ხარჯით გაგზავნონ საავათმყოფოში, ვინაიდან მოიჯარადრე მათ თხოვნას საექიმო დახმარების შესახებ ყურადღებასაც არ აქცევს. მუშებს ამჟამად ერგებათ შრომის ხელფასი 40,000,000 მან., მაგრამ არ იქნა და არა მუშები ვერ ეღირსენ ხვედრი ფულის მიღებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოიჯარადრე ცუდათ ექცევა მუშებს და შეურაცყოფასაც კი აყენებს მათ.

ყარაიაზის სახელმწიფო მამული.

ყარაიაზის რაიონში სახელმწიფო მამულები გაცემულია მოიჯარადრეებზე. ამ მამულებში მუშაობს დიდძალი მუშა ხელი. მათი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. მოიჯარადრეთა მიერ წარმოებს მუშების უკიდურესი ექსპლოატაცია. უხდებათ მუშაობა აუტანელ პირობებში. ვინაიდან მამულებში მთელი წლის სამუშაო არ არის, ამის გამო მოიჯარადრენი მუშებს ეკვრებიან „თავისუფალ“ შეთანხმებით. შრომის დაცვის კანონები მათდამი ძლიერ მცირედათ ტარდება. მუშაობას იწყებენ დილის 6 საათიდან და აგრძელებენ ღამის 10 საათამდი. არის შემთხვევები, რომ მთელი 24 საათის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობენ: მოიჯარადრენი თაღლითობასაც კი არ ერიდებიან მუშათა მიმართ. მათგან პირობის უარყოფას ხშირათ აქვს ადგილი. თანახმად სიტყვიერი ხელშეკრულებისა მუშები ასრულებენ რა თავიანთ სამუშაოს, სთხოვენ შრომის ხელფასს. მოიჯარადრენი ძალიან შუბლ მაგარნი არიან და მათ მიერ დადებული პირობის უარყოფა სიწითლესაც კი არ გვრით მათ. აძლევენ მუშებს მხოლოდ ნაწილს ხვედრი ფულიდან, მეორე ნაწილზე კი სულ მთლად უარს ეუბნებიან. რომ უფრო ნათელი სურათი ვიქონიოთ მამულებში მომუშავე მუშათა მდგომარეობის შესახებ, ცალ ცალკე შევეხები მოიჯარადრეთა მამულებში მომუშავე მუშათა მდგომარეობას.

მოიჯარადრე კურბან-ბაირამ ადჯის მამულში მომუშავენი.

ამ მამულში მუშაობს 6 კაცი. მუშაობის პირობები ჯოჯოხეთურია. შრომის დაცვის კანონები მათთვის არ არსებობს. მუშაობენ თავისუფალი შეთანხმებით მოიჯარადრესთან. მუშებს თავიანთი ნამუშევარიდან თვითეულს ამ ჟამად ერგება 4—5 მილიონი მანეთი, მაგრამ მილიონიც ძლივს-ღა დაურიგეს. დანარჩენ ფულის სამაგიეროთ მოიჯარადრე დაპირდა ხახვის მიცემას. მაგრამ გადის დღეები დაპირება დაპირებათ რჩება და ვერც ფული და ვერც ხახვი მუშებმა ვერ მიიღეს. იმედია მუშების ასე მასხარათ აღებას ბოლო მოეღება და ხვედრი ფულით დაკმაყოფილებულნი იქნებიან.

მოიჯარადრე გიდბალ-აბდულას მამულში.

მუშათა რიცხვი ამ მამულში აღწევს 50. შრომის დაცვის კანონები ძლიერ ცუდათ ტარდება ცხოვრებაში. მუშაობენ დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. მუშაობას ეწევიან დღიურათ. ასეთი აუტანელი შრომის საფასურათ ძლივს-ღა ღებულობენ 50—70 ათას მანეთს. აი ასეთი მცირედი ხელფასით მუშებმა უნდა დაიკმაყოფილონ ყოველივე მოთხოვნილება. მოიჯარადრე უდიერათ ეპყრობა მუშებს. არა აქვთ პირსაბანი, საპონი და პირსახოცი. ცხოვრობენ ანტიჰიგიენურ პირობებში. მუშებში ძლიერ გავრცელებულია მალარია. არა აქვთ საექიმო დახმარება. ავათმყოფობის დროს იძულებულნი არიან თავიანთი ხარჯით თბილისში წამოვიდნენ საექიმოთ. ბინის მხრით ძლიერ ცუდ პირობებში არიან. კულტ მუშაობაზე ხომ წარმოდგენაც არა აქვთ. ამჟამად მუშაობის სეზონი უკვე თავდება და მუშები თავისუფალნი გახდებიან, დათხოვის დროს ერთდროულ დახმარებას ან რაიმე სალიკვიდაციოს არ აძლევენ. უშვებენ ბედის ანაბარად.

ხ. მ.

ბის, განათლების განყოფილების მთელი შტატის შემადგენლობისა, გარდა გამგისა, და სასწავლებლების მთელი სამეურნეო ხარჯები.

2. ლანჩხუთის სამეურნეო სასწავლებელი აღიარებულ იქნას დაბალ სამეურნეო სასწავლებლად. წინადადება მიეცეს ოზურგეთის განათლების განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა ამ სასწავლებელს მოეძებნოს სათანადო ბინა და, უკეთუ ესეთი ბინის მოძებნა შეუძლებელი შეიქნა, ლანჩხუთის სამეურნეო სასწავლებელი დაიხუროს და ამის შესახებ ეცნობოს თავის დროზე განათლების კომისარიატს.

3. აღძრულ იქნას სათანადო შუამდგომლობა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რომ გადადებულ იქნას განსაზღვრული თანხა იმ სკოლების აღსადგენად, რომელნიც დაზარალდნენ ამ წყალდიდობის დროს ოზურგეთში და ოზურგეთის მაზრაში.

4. წინადადება მიეცეს სახ. განათლების კომისარიატის პროფესიონალური განათლების განყოფილებას გაგზავნოს ოზურგეთის განათლების განყოფილების განკარგულებაში მასწავლებლები, სამი მათემატიკოსი, სამი ფილოლოგი და ერთიც ახალი ენების მასწავლებელი.

5. ვინაიდან ოზურგეთის განათლების განყოფილება ნივთიერად შევიწროვებულია, სასწავლებლებში გაუქმებულ იქნას კლასის დამრიგებლების თანაშემწის თანამდებობა, ხოლო საქმის მწარმოებლის თანამდებობის ასრულება სასწავლებლებში დაევალოს უსასყიდლოდ სკოლის გამგეებს.

6. წინადადება მიეცეს განათლების კომისარიატის პროფესიონალურ განათლების განყოფილებას, თუ ოზურგეთის ტეხნიკუმი შოიძენს სპეციალურად მომზადებულ მასწავლებლებს საპედაგოგიო ტეხნიკუმისათვის, ამ შემთხვევაში ოზურგეთის ტეხნიკუმი აღიარებულ იქნას პედაგოგიურ ტეხნიკუმად.

7. ოზურგეთის მეორე შრომის სკოლის გასაფართოვებლად შეძენილ იქნას მეზობლად მდებარე სახლი და ეზო.

8. გაუქმებულ იქნას ოზურგეთის განათლების განყოფილებასთან არსებული კოლეგია. განყოფილებას ნება მიეცეს საჭირო შემთხვევაში მოიწვიოს მცოდნე პირები სათათბირო ხმით.

9. დამტკიცებულ იქნას ოზურგეთის განათლების განყოფილების შტატი შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების გამგე ერთი, მისი მოადგილე ერთი, საქმის მწარმოებელი ერთი, მემანქანე ერთი, ბუჰალტერი ერთი და ინსტრუქტორი სამი, რომელთაგან ერთი გამგის მოადგილის თანამდებობას ასრულებს.

10. წინადადება მიეცეს განათლების განყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგეს საბავშო ბაღისა და სახლის ორგანიზაციას ქ. ოზურგეთში. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს ევალება საბავშო სახლის შენახვაში მიიღოს მონაწილეობა.

პროვინციაში

სამტრედია.

სამტრედია კულტურა განათლების სფეროში შედარებით წინ არ არის. აქ სასწავლებლები მრავლად არსებობს, არსებობს ტეხნიკუმი, რომელიც არის მოთავსებული სრულიად შეუფერებელ შენობაში. მენშევიკური მთავრობა სრულებით არ ფიქრობდა, რომ მისთვის საკუთარი შენობა აეგო. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამას და ახლო წარსულში დაადგინა ტეხნიკუმისათვის აიგოს საკუთარი კარგი შენობა, რაც ითხოვს დიდს შრომას და დიდს ხარჯს. ქალ. აღმასკომმა დაადგინა მიმართოს ქუთაისის სამაზრო კომუნალურ განყოფილებას—მისცეს ინჟინრები შესაფერ ხარჯთ აღრიცხვის და გეგმის შესადგენათ, რომ დროზე შეუდგენ ასეთ საშვილიშვილო საქმის საძირკვლის ჩაყრას.

ადგილი ტეხნიკუმის შენობისათვის ამორჩეულია—სტაროსელსკის მოედანი, რაც, ჩვენი აზრით შეუფერებელია რადგანაც ის არ არის ცენტრალური ადგილი; მართალია, ჰაერი გაშლილია, დიდი მინდორი აქვს, რაც მოზარდ თაობისათვის კარგია, მაგრამ ის ქალაქს დაშორებულია ორი ვერსის მანძილზე. საჭიროა ამ დადგენილების ხელახლავ გადასინჯვა და ტეხნიკუმისათვის შენობის აგება ქალაქის შუა ადგილას. ასეთი ადგილები ჩვენ მოგვეპოვება.

შარშადელი ეკონომიურ-კრიზის გამოვლებულ ხალხს გულს უკეთებდა წლევანდელი მოსალოდნელი კარგი ჰირნახული, მაგრამ 8 და 9 სექტ. მოვიდა კოკისპირული წვიმები, რომელმაც ისე აადიდა მდინარე რიონი, რომ მან სულ მოიარა ყანები, ბევრი დაბლობი ადგილები სულ წალეკა, განსაკუთრებით ლობიოს მოსავალი სულ მოსპო, სიმინდიც საგრძნობლად გააფუჭა. საერთოდ ამ წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ხალხს.

მთელს სამტრედიის რაიონს ძალიან მოედვა ციებ-ცხელება (მალარია). ექიმები ვერ ასდიან ავადმყოფების ნახვას.

ხან კაბი.

ქრონიკა

◆ **ჰინჩაკის პარტიის მისალმება.** ჰინჩაკის პარტიის ცენტრალურმა და თბილისის კომიტეტმა გაუგზავნა რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დეპეშა: „მიიღო რა ცნობა ოქტომბრის დიდი რევოლიუციის [illegible] ხელმძღვანელის, ძვირფასი ამხანაგის ვლადიმერ ილიჩის საბოლოოდ განკურნების შესახებ, სომხეთის უძველესი სოციალისტური პარტია ჰინჩაკი ცენტრალური და თბილისის კომიტეტის სახით უგზავნის მას თავის მხურვალე მილოცვას და ძმურ სალამს. ჰინჩაკის პარტია გამოსთქვამს იმედს, რომ ამხ. ლენინი, ჩაუდგება რა სათავეში ახალი ენერგიით მსოფლიო პროლეტარიატს, მიიყვანს მას ახალ გამარჯვებამდე და აღმართავს მთელს ქვეყანაზე ძლევამოსილი კომუნიზმის წითელ დროშას.

◆ **კომისიის გამგზავრება.** მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საგანგებო კომისიის სესია გაემგზავრა კახეთში ადგილობრივ კომისიის დადგენილებების გადასასინჯავად და ზოგიერთ საქმეების განსახილველად.

◆ **მაზრების გახსნა.** სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით გორისა, თელავისა და სიღნაღის მაზრა, სადაც სასურსათო გადასახადის აკრეფა დასრულდა, დღეიდან გახსნილია და იქიდან პურეულისა და სხვა სურსათის თავისუფალი გამოტანა ნებადართულია.

◆ **ამხ. კამოს სახელობის სახლის ფონდი.** ქალაქის აღმასკომის სალარიაში ამხ. კამოს სახელობის სახლის ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი: თბილისის რკინის გზის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მმართველობისაგან ვ. ვ. აკიმოვისაგან 600 000 მ., დ. ი. სიმინოვისაგან—700.000 მ. სულ 1 300.000 მ.

◆ **მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.** ოსმალური ქაღალდის ლირის კურსის განმტკიცების გამო, საიმპორტო საქონლის ფასები, როგორც იტყობინება ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილება, რამდენიმედ დამყარდა. გაძვირება დაეტყო ნარმას, რომლის მოთხოვნილება დიდია. ფასები უცვლელია ადგილობრივ ფქვილზე და ხორბალზე. რამდენიმედ დაიკლო სიმინდის ფასმაც. ადგილობრივ საპნის ფასი მტკიცეა.

სახ. კომისართა საბჭოში.

◆ **სპეციალურ კომისიის შედგენა.** თბილისის აღმასკომის შუამდგომლობის გამო ქალაქის აღმასკომის სასარგებლოდ სახელმწიფო შემოსავლიდან 20 პროცენტის გადარიცხვის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ შეადგინა სპეციალური კომისია, ამხ. სვანიძის, ჟუჟუნაშვილის და ქალაქის აღმასკომის ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით; ამ კომისიას მიენდო გამოარკვიოს საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და სახელმწიფო შემოსავლიდან ქალაქის აღმასკომის სასარგებლოდ 20 პროცენტის გადარიცხვის წესის შემუშავებასთან, კომისიას გადაეცა აგრეთვე განსახილველად და დასკვნისათვის დადგენილების პროექტი სამუნიციპალო სახლების შესახებ.

კომისიას მიეცა წინადადება შეუდგეს მუშაობას 3 დღის განმავლობაში.

◆ **ფაბრიკა-ქარხნების შეგირდების შკოლის ხარჯთაღრიცხვა.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა სახალხო განათლების კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ფაბრიკა-ქარხნების შეგირდების ცენტრალური შკოლის 1.619.000.000 მან. ხარჯთაღრიცხვა და გაუხსნა სათანადო კრედიტი სახ. განათლების კომისარიატს.

◆ **ტყეების ექსპლოატაცია რაჭის მაზრაში.** რაჭის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენების გამო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიანიჭოს რაჭის აღმასკომს განსაკუთრებული უფლება რაჭის მაზრაში ტყეების ექსპლოატაციის საწარმოებლად.

◆ **თეატრების გადასახადებისაგან განთავისუფლება.** სახ. განათლების კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა განთავისუფლებულ იქნას აკადემიური თეატრები ყოველგვარ გადასახადებისაგან.

◆ **აბრეშუმის თესლის შეძენა.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიწათმოქმედების და შრომის სახ. კომისარიატების წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენება 1923 წლისათვის 70.000 კოლოფი აბრეშუმის თესლის შეძენის შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა აღნიშნულ კომისარიატების წინადადება აბრეშუმის თესლის საჭირო რაოდენობის შესაძენად სათანადო საშუალებათა გამონახვის შესახებ.

◆ **ხარჯთაღრიცხვათა განხილვის წესრიგი.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა შეტანილ იქნას ცვლილება ხარჯთაღრიცხვის განხილვის არსებულ წესრიგში, რისთვისაც ფინანსთა სახ. კომისარიატს დაევალა შეიმუშაოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად სათანადო პროექტი და წარუდგინოს იგი სახ. კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

◆ **დეპეშა ახალქალაქიდან.** ახალქალაქიდან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე მიღებულია ამხ. თაყაიშვილისაგან შემდეგი დეპეშა: ახალქალაქის მაზრის მუშები და გლეხები შეიკრიბნენ რა კვირას, 15 ოქტომბერს „მაჯადის" არხის საამშენებლო სამუშაოზე, თქვენი სახით სალამს უძღვნის საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც თავისუფალ კოლეკტიურ შრომის ხელმძღვანელს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! **თავმჯდომარე.**

ქ. თბილისის საერთო დამზღვევი კასა.

შემოსავალ გასავლის ანგარიში სექტემბრის განმავლობაში. შემოსავალი. ნაშთი 1 სექტემბრისათვის—332,965,888, შემოვიდა სექტემბრის განმავლობაში 4,352,973,693. გასავალი—ავადმყოფობის გამო დახმარება 1,108,322,000., მშობიარე წევრთა დახმარება 115,678,000., მშობიარე წევრთა ცოლთათვის დახმარება 72,125,000., წევრთა დასაფლავება 84,100,000., წევრთა ოჯახობის დასაფლავება 108,800,000., დასახიჩრებულთ, ინვალიდთა და ქვრივ ობლებთა პენსია 207,080,000., პირად შემადგენლობის შენახვა 145,615,000., სხვადასხვა სამეურნეო და მოულოდნელი ხარჯები 191,897,000., ავანსები 8,951,000, პროვინციალურ განყოფილებებს 2,348,000, ჯანმთელობის სახ. კომისარიატს 1,900,000,000., სესხი განყოფილებებს 3,800,000., სახალხო ბანკში სახელდახელო ანგარიში 500,000,000., ჩამოწერილია ძველი რუსული ფულის ახალ ნიშნებზე გამოცვლის გამო 51,926,300., სულ 4,500,642,300. დარჩა 1 ოქტ. 185,297,261 მან.

ხელოვნება

— **აკადემიური სალამოების გახსნა ხელოვანთა სასახლეში.** შაბათს, 21 ოქტომბერს, ხელოვანთა სასახლეში გაიხსნება მწერალთა ახალი კავშირის აკადემიური სალამოების ზამთრის სეზონი. მოხსენებას წაიკითხავს შალვა ამირანაშვილი შემდეგ თემაზე: „ქართული პლასტიური ხელოვნების ძირითადი საკითხები". მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება დიაპოზიტები.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება მეორეთ „კარმენი", მუსიკა ბიზესი, ბოგოლიუბოვის რეჟისორობით და ბრონის დირიჟორობით.

— **სალამო კონსერვატორიაში.** დღეს, სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება დემნა შენგელაიას სალამო. კონ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „აქტივიზმი ევროპის ახალ ლიტერატურაში"—(შენგელაია) შემდეგ პოეტები წაიკითხავენ ლექსებს.

— **„მეოცნებე ნიამორები".** ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით ამ დღეებში გამოვა, ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების" მორიგი ნომერი.

— **„გუშინდელნი".** კვირას, 22 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის ორიგინალური პიესა „გუშინდელნი", მიხ. ქორელის რეჟისორობით.

რუსეთი.

— **ბილეთები მუშებისათვის.** პეტროგრადის პროფკავ. საბჭოს კულტურულ განყოფილებამ სექტემბრის მეორე ნახევარში, პეტრის ქარხნების და ფაბრიკების მუშებს შორის სათანადო კავშირების საშუალებით გაანაწილა 21,274 უფასო ბილეთი. თავის წარმოდგენებს კულტგანყოფილება მართავს ყველა აკადემიურ თეატრებში.

— **ოქტომბრის დღესასწაული.** ოქტომბრის დღესასწაულის დღის, პეტროგრადის ოპერის და ბალეტის აკადემიურ დიდ თეატრში (ყოფ. მარინსკის) წარმოდგენილი იქნება „მეფე სალტან" და „კონიოკ გორბუნოკ". დრამის აკადემიურ დიდ თეატრში (ყოფ. ალექსანდ.) „ღამე"—მარტინესის.

— **მოსკოვის თეატრი „კომედია".** მოსკოვის თეატრი „კომედიის" (ყოფ. კორში) 40 წლის არსებობის გამო, 16 ოქტომბერს გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა.

— **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** პეტროგრადის სახელმწიფო ფაიფურის ქარხანა, რომელიც იმყოფება ნარკომპროსის გამგებლობაში, ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში მართავს გამოფენას ქარხნის საუკეთესო ნაწარმოებებისას.

საზღვარ-გარეთ

— **ქართველი პოეტების ანტოლოგია რუსულად** ბერლინელ რუსი ემიგრანტების გაზ. „ნაკანუნეს" ცნობით, მოსკოვის და ბერლინის გამომცემლობას „გელიკონს" განზრახული აქვს გამოსცეს რუსულად ქართველი პოეტების ანტოლოგია. გამომცემლობამ უკვე სთხოვა, გამოცემის უმთავრესი ნაწილის ქართულიდან რუსულად გადათარგმნა რუსეთის პოეტს ბალმონტს, რომელიც ეხლა პარიზში იმყოფება.

— **ბიბლიოგრაფია რუსულად გამოცემულ ბარათაშვილზე.** იმავე გაზ. „ნაკანუნეში" მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ვინმე „ნ. კ." მოწერით, რუსულად გამოცემულ ბარათაშვილის წიგნზე, რომლის თარგმანი ეკუთვნის პოეტს ვალერიან გაფრინდაშვილს.

— **კ. ბალმონტის წიგნი პარიზში.** კ. ბალმონტმა გამოუშვა წიგნი „რევოლიუციონური სიმღერები ევროპის და ამერიკის". წიგნში მოთავსებულია უიტმანის ახალი თარგმანებიც.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 7.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი.

იმ წარმოება დაწესებულებებში განაკვეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, ოქტომბრის თვის მეორე ნახევრის თვის განაკვეთის საფუძვლად ქალ. ტფილისში დაწესებულია ბაზრის საშუალო შემდეგი ფასები.

№№ რიგზე	პროდუქტების დასახელება	რაოდენობა		ფასი ერთეულის მიხედვით, ათას მანეთობით, ოქტომბრის მე-2 ნახევარში
1	2	3		4
1	პური	1	გ.	10
2	ქართოფი	1	„	4
3	ლობიო	1	„	9
4	ბრინჯი	1	„	18
5	კომბოსტო	1	„	4
6	ხორცი	1	„	30
7	ზეთი	1	„	50
8	ერბო	1	„	80
9	შაქარი	1	„	30
10	მარილი	1	„	3
11	ღვინო	1	„	80
12	ჩაი	1	4	50

უმაღლეს სატარიფო საბჭოს
თავმჯდომარე ა. მიქაძე.
მდივანი ვ. ბოკუჩავა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 ერაიკომი იტყობინება, რომ ა. წ. 18 ოქტომბრიდან მეცადინეობა რაიკომში წარმოებულ იქნება დილას 9—1 საათზე და საღამოს 5—7 საათზე.

— **საქართველოს კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა გაწმენდის მე-4 რაიონის გამწმენდი კომისია** ამით აცხადებს რომ იგი შეუდგა მუშაობას 16 ოქტომბერს.

ყველა იაჩეიკებს ევალება მოაწესრიგოს პარტიის წევრთა პირადი საქმეები და დაუყოვნებლივ წარადგინოს სარაიონო კომისიაში.

იაჩეიკას გაწმენდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბრალდებები, განცხადებები და მასალები კომპარტიის წევრთა შესახებ მიიღება სარაიონო კომისიის მიერ მე 4 რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 22) ამხ. უპარტიოებს ვსთხოვთ მიიღონ მონაწილეობა იაჩეიკების სხდომებზე გაწმენდის დროს.

— დღეს, 10 ოქტომბერს დანიშნულია თათბირი **ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის ზეიმის შესახებ.** საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ-პროპაგანდო განყოფილებაში. დასაწყისი დილის 12 საათზე.

მოწვეულნი არიან: რაიკომების ორგანიზატორები, საქართვ. პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ საქმეთა განყოფილება, კავკასიის ცალკე არმიის და საქართველოს წითელი არმიის პოლიტიკური განყოფილებანი, სახალხო განათლების კომისარიატი, ქალაქის აღმასკომი, ქალთა განყოფილება და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი.

საქართვ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება

პროფესიონალური

— **ქიმიურ მრეწველობის კავშირი** წინადადებას აძლევს კავშირის ყველა უმუშევარ წევრებს გაიდნენ რეგისტრაციაში. (კავშირის ბინა—შრომის სასახლე. ოთახი № 31).

რეგისტრაცია სწარმოებს 16 ოქტ. 25 ოქტომბრამდე—5—7 საათამდის.

ვინც არ გაივლის ამ რეგისტრაციას—ჩაითვლება კავშირიდგან გასულად.

— მელითონეთა კავშირი აცხადებს ყველა იმ წევრთა საყურადღებოთ, რომლებიც მუშაობენ კერძო დაწესებულებებში, გამოცხადნენ ხელახლად რეგისტრაციაზე 23 ოქტომბერს დილის 10 საათზედ (მე 3 სართული ოთახი № 27).

ყველა უმუშევარ კავშირის წევრებს ევალებათ გამოცხადნენ კავშირში ხელახალ რეგისტრაციაზედ 24, 25, 26, 27, 28, 29 და 30 ამ წლის ოქტომბერს. ვინც ზემო აღნიშნულ რიცხვებში არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან კავშირიდან გამორიცხულად.

— დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლოუბნის № 3) ამხ. კომაროვსკი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე პედაგოგიის მდგომარეობა".

განცხადებები

ამა წლის ოქტომბრის 22-ს შუადღის 1 ნახ. საათზე, ნაძალადევის ეკლესიის გალავანში საფლავზე, მიტროპოლიტ ნაზარის მიერ გადახდილ იქნება წლის თავი

ანეტო დვალიძის ასულის
ჩიქოვანისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, განსვენებულის მეუღლე დავით გიორგის ძე ჩიქოვანი, მშობლები ბესარიონ და მარიამ დვალიძენი შვილებით: ლევანით, თამარით და ქეთევანით და დეიდა ვარო ანდრიას ასული მეუღლით დავით სვიმონის ძე არჯევანიძით. (440—2—1)

სახელმ.
აკადემ.
თეატრი
ოპერა.

კასსა ღიაა
11—3 ს.
და საღამ.
6 წარმოდ
გენის დამ
თავრებამდე

დღეს, 20 ოქტომბერს
კარმენი
ოპერა 4 მოქ. მუს. ჟ. ბიზესი.

შაბათს 21 ოქტ.
სევილიელი დალაქი
ოპერა 3 მოქმედ. მუს. როსინისა.
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ. 419—1—1)

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1922—1923 წ.
სახელმწიფო აკადემიური დრამა
სეზონის გახსნა
შაბათს, ოქტომბრის 21-ს 6 ნაქაშიძის
ვინ არის დამნაშავე?
4 მოქმედებად.
დადგმა ალ. წუწუნავასი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.
კვირას გუშინდელნი
(კრ. 418—2—1)

საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახ.
კომისარიატი

სთხოვს ყველა თეატრების (გარდა სახელმწიფო თეატრებისა) კლუბების, (იმ კლუბების სადაც არის სცენა ან კინემატოგრაფი), კინემატოგრაფების და ცირკების გამგეებს, ამა განცხადების დღიდან 7 დღის განმავლობაში, აცნობონ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ცეცხლის ქრობის განყოფილებას ხსენებულ დაწესებულებათა სწორი მისამართები, მათი ცეცხლის გაჩენის მხრივ დათვალიერების რიგის შესამუშავებლად.

საქმეთა მმართველი ჩიქოვანი.
კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი.
თეატრების ცეცხლის გაჩენის მხრივ დათვალიერების კომისიის
(420—2—1) თავმჯდომარე მახსა.

კვირას, ა. წ. ოქტომბრის 22-ს დილის 12 საათზე
დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის სააუქციონო დარბაზში
პლეხანოვის პრ. № 83 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
შემდეგ ნივთებზე
1. ფოტოგრაფიული ნივთები და მასალები, 2. ჩულქების საქსოვი მანქანები, 3. შრიფტები რუსული, 4. ავტომობილის დაშლილი ნაწილები, 5. როიალი, 6. ლურჯი ქიმიური სალებავი, 7. საყინული, 8. ვენტილიატორი და სხვა
433—3—2

სახალხო მეურნეობის
უმაღლეს საბჭოს
„ცენტროტრამოტი"
აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებისა
გაუქმებულია
საგანგებო სამეურნეო საგუშაგო
და ყველა ფუნქციები გადაზიდვისა გადადის „ცენტროტრამოტი"-ს კომპეტენციაში.
ცნობა: დამოკიდებულია № 8021 27 სექტემბერი 1922 წ.
(კრ. 417—3—2) „ცტმო".

თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებისა ევალება ქვემოაღნიშნულ პირთ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ საქ. ცენტროევაკის განყოფილებაში მათგან ზოგიერთი ცნობების მისაღებათ.

ეს პირნი არიან:
1) ბარამიძე—ყოფილი გამგე მცხეთის საექიმო—გამოსაკვებ პუნქტის.
2) ბეჟოევი—ხაშურის პუნქტის ყოფილი გამგე.
3) გაკოხიძე—ცენტროევაკის ყოფილი თანამშრომელი.
4) ეგოროვი—თელავის პუნქტის ყოფილი გამგე.
5) ივანოვი—ბათომის რაიევაკის ყოფილი გამგე.
6) ჩიქოვანი გრ. ელიზბარის ძე—აშაგა-სერალის პუნქტის ყოფილი გამგე.
კრ. 416 3—2

ქართული შეერთებული სამხედრო
სკოლა

ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან სკოლა გადადის ნორმალურ ტიპზედ 3 წლიან კურსით და განყოფილებებით:

ქვეითა, ცხენოსანი, საარტილერიო, სამხედრო-საინჟინერო, ამასთანავე ყველა ახლად შემოსული ჩაირიცხება სკოლის უმცროს კლასში.

სკოლაში მიიღება ყველა მშრომელი, ფიზიკურად ჯანსაღი 18 წლიდან—28 წლამდე, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1) ა. გამოცდების ჩაუბარებლივ მოქალაქენი, რომელთაც დაამთავრეს მთლიანი შრომის სკოლა ან აქვთ განათლების ცენზი ამ სკოლის თანასწორი ან და მასზე უმაღლესი.

ბ. საგანგებო გამოცდებით ის მოქალაქენი, რომელთაც დაუმთავრებელი აქვთ მთლიანი შრომის სკოლა.

2) ყველა მოქალაქეთათვის, რომელთაც სურთ სკოლაში შესვლა, აუცილებლივ საჭიროა ქართულ ენის მტკიცე ცოდნა.

3) სკოლაში შესვლის მსურველნი აძლევენ განცხადებას სკოლის უფროსის სახელზედ. განცხადებას უნდა დაერთოს მოწმობა სწავლა განათლებისა და მიღების დროს რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის რეკომენდაცია. უპირატესობა ეძლევათ წითელ არმიელებს პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებიდგან გამოგზავნილთ.

4) სკოლაში მიღება დაიწყება ამა წლის 15 ნოემბრიდან და გაგრძელდება 1 დეკემბრამდის, რის შემდეგ თხოვნები აღარ მიიღება.

7—3 სკოლის უფროსი კომისარი ტალახაძე.

წითელ არმიელი ზაქრო სოხიას ძე ლოთიაშვილი, გაწვეული 1921 წ. ქ. თელავში 1-ლ პოლკში, რომელიც შემდეგ ქ. თფილისში წავიდა, და მას შემდეგ მშობლებმა არაფერი არ იციან, მშობლები სთხოვს ყველა ნაცნობ მეგობრებს გვაცნობონ მისი მდგომარეობა და, სად იმყოფება, შემდეგი მისამართით იყალთო (თელავის მაზრა) გიორგი ხუციშვილს. (438—1—1)

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტეინის ქ. № 4.